პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 159 (18701) სამშაბათი, 12 ივლისი, 1983 წელი ფასი 3 კაპ.

ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ახალი ლაურეატები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ლიტერატურის, ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პრემიების კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მაიაკოვსკის სახელობის 1983 წლის პრემია მიანიჭა პოეტ **ბალათერ არაბულს** პუბლიცისტური პოემისათვის **„საუბარი პარტიულ ბილეთზე, ანუ რწმენა“**, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთებში „კომუნისტში“ 1982 წლის დეკემბერში და „მოლოდიოუ გრუზიიში“ 1983 წლის თებერვალში. პრემია მიენიჭა პოეტ **ვახტანგ ხარჩილავას** 1981 წელს გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ გამოქვეყნებული პუბლიცისტური პოემისათვის **„ჩემი ცისფერი დედა“**.

ვ. მაიაკოვსკის სახელობის პრემიის ლაურეატი გახდა უკრაინელი პოეტი **ნატალია ბელოცერკოვეცი** უკანასკნელი წლების **ლექსების ციკლისა და ნაწარმოებებისათვის.**

(საქინფორმი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის შედეგები და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ამოცანები პლენუმის გადაწყვეტილებების, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვის შესაბამისად

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხანაგ ე. ა. შევარდნაძის მოხსენება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე 1983 წლის 8 ივლისს

ამხანაგებო!

ჩვენი პარტიისა და ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო პოლიტიკური მოვლენები მოხდა. გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი. მას საეტაპო მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან განსაზღვრა საკავშირო ამოცანები, რომლებიც პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დგას კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. პლენუმის შემდეგ მოწვეული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესია, რომელმაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხანაგი ი. ვ. ანდროპოვი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩია, თითქოსდა კიდევ ერთი დადასტურებაა პარტიისა დ სახელმწიფოს ავტორიტეტის გაზეყოფლობისა, პარტიისა და ხალხის გონების და ნების ერთობის გამოხატულებისა.

პლენუმმა განიხილა იდეოლოგიური, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის აქტუალური საკითხები. ეს, როგორც პლენუმზე თქვა ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, პარტიის საქმიანობის ერთ-ერთი ძირეული საკითხი, კომუნისტური მშენებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია.

მოხსენებაში, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ გააკეთა, ღრმად არის გაანალიზებული შეძენილი გამოცდილება და არსებული პრობლემები, მოცემულია ფუნდამენტური დასკვნები და რეკომენდაციები. ცნობილია, რომ იდეოლოგიური მუშაობის სფეროში განრნდა ბევრი საკითხი, რომლებიც მოითხოვს გადაწყვეტას, ზუსტ ამომწურავ პასუხს. **სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ მან ეს საკითხები დღის წესრიგში დააყენა, ყოველმხრივ და საფუძვლიანად განიხილა, პასუხი გასცა მათ, განაზოგადა არსებული გამოცდილება, განსაზღვრა, რა არის დღევანდელი ამოცანები და როგორი მუშაობა გვმართებს ხვალ.**

ცენტრალური კომიტეტის პლენუმს ფრიად სასიკეთო ფონი ჰქონდა: ეს გახლავთ იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის გამოსვლები და მოხსენებები, განსაკუთრებით მისი შრომა „კარლ მარქსის მოძღვრება და სსრ კავშირში სოციალიზმის მშენებლობის ზოგიერთი საკითხი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის საფუძველთა საფუძველი გახდა.

ეს დოკუმენტი მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა. მათთვის დამახასიათებელი მემკვიდრეობითობის დიალექტიკა, მარქსისტული სიღრმე, მიზნის სიცხადე და პოლიტიკური ინტუიციზმი აღარ უტოვებენ ადგილს ვიწრო პრაგმატიზმს, სქოლასტიკასა და კონიუნქტურას, მოგვიწოდებენ დავდგეთ ჭეშმარიტი შემოქმედების გზაზე.

ყოველივე ეს განსაკუთრებული ძალით გამოიხატა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე იური ვლადიმერის ძე ანდროპოვის მიერ წარმოთქმულ სიტყვაში, რომელშიც ღრმა თეორიული დებულებანი მჭიდროდ უკავშირდება და ორგანულად ერწყმის ჩვენი პარტიის კონკრეტულ პრაქტიკულ ამოცანებს. როგორც ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, კომუნისტებისა და ჩვენი სოციალისტური საზოგადოების ყველა მოქალაქის შეგნების ჩამოყალიბება მარტოოდენ პროფესიონალების — იდეოლოგების, პროპაგანდისტების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკების საქმე როდია. **ეს მთელი ჩვენი პარტიის საქმეა.** სწორედ ამით უნდა ვიხელმძღვანელოთ, ამხანაგებო, მთელ ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის ისტორიულ მნიშვნელობას მოწმობს თუნდაც უკვე ის ფაქტი, რომ პლენუმზე მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც ემყარება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის მიერ პლენუმზე წარმოთქმულ სიტყვაში ჩამოყალიბებულ ღრმად მეცნიერულ, მკაფიო, ნათელ და რეალისტურ დებულებებს და დასკვნებს, **ჩვენი მთავარი პარტიული დოკუმენტის — სკკპ პროგრამის ახალი რედაქციის თეორიული საფუძველია.**

I.

პლენუმის მთელი მუშაობა იმ აზრით იყო გამსჭვალული, რომ საქართველო **მთელი ჩვენი იდეოლოგიური, აღმზრდელობითი, პროპაგანდისტული მუშაობა გადაკრით ავიყვანოთ იმ დიდი და რთული ამოცანების დონეზე, რომლებსაც პარტია წყვეტს განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის პროცესში.** უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანები, რომლებიც ჭეიდრად არის დაკავშირებული ფართო მასების კომუნისტურ აღზრდასთან.

ივნისის პლენუმმა ამომწურავი დახასიათება მისცა განვითარებულ სოციალიზმს, როგორც საზოგადოებას, სადაც უკვე **მთლიანად არის შექმნილი სოციალისტური პრინციპების შესაფერისი ეკონომიკური ბაზა, სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკური სისტემა, სადაც სოციალიზმი ვითარდება თავის საკუთარ, კოლექტივისტურ საფუძველზე.**

როცა პარტიის იდეოლოგიური მუშაობის პრობლემებს განიხილავდნენ, სკკპ ცენტრალური კომიტეტი, მისი პლენუმი იმით ხელმძღვანელობდნენ, რომ არ შეიძლება წყვეტდე მისი სრულყოფის ამოცანებს, თუ ღრმად და ყოველმხრივ არ გააანალიზე ის საფუძველი, რომელსაც ეს მუშაობა ემყარება, ანუ, თუ ღრმად და ყოველმხრივ არ გააანალიზე თვით წესი წარმოებისა, რომლის განმტკიცებასაც ემსახურება და რომელსაც ეფუძნება იგი.

პლენუმმა მოგვაგონა, რომ მთელ ჩვენს საქმიანობაში ნიადაგ უნდა ვემყარებოდეთ მარქსისა და ენგელსის მიერ აღმოჩენილ საზოგადოების შეცვლა-განვითარების ობიექტურ კანონებს, რომ უწინარეს ყოვლისა გვმართებს ორიენტირად მივიჩნიოთ საზოგადოებრივი პროგრესის მთავარი, ძირითადი მამოძრავებელი ძალები.

საზოგადოება შეიძლება გეგმაზომიერად და მიზანმიმართულად ვითარდებოდეს, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განუხრელად გავავითარებს თავის **საწარმოო ძალებს** და ნიადაგ შეუსაბამებს მათ **წარმოებითს ურთიერთობებს.** მაგრამ, იმისათვის, რომ მივაგნოთ წარმოებითი ურთიერთობის ორგანიზაციის ყველაზე ოპტიმალურ ფორმებს, კერძოდ, საწარმოო პროცესის ორგანიზაციის ახალ ფორმებს, **გვმართებს იმის ღრმა ცოდნაც, თუ რა არის და რა უნდა იყოს, გვმართებს თაობნობა, სითამამე, ნამდვილად რევოლუციური გაქანება.**

გავიხსენოთ, რამდენი დაბრკოლების დაძლევა მოგვიხდა ამაშის ექსპერიმენტთან დაკავშირებით. არადა, ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ თავის მოხსენებაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე აბაშელთა გამოცდილებას მაღალი შეფასება მისცა და ხაზი გაუსვა, რომ ისინი, ისევე როგორც მათი ლატვიელი და ესტონელი კოლეგები, აგროსამრეწველო გაერთიანების შექმნას **„მიუღებენ უწინარეს ყოვლისა როგორც იმ ადამიანთა შორის ახალი ურთიერთობის ჩამოყალიბების პრობლემას, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთიანი მიზნით, ინტერესით, პასუხისმგებლობით საერთო მუშაობის ხიბოლოო შედეგებისათვის“.**

მაინც, ჯერ კიდევ რამდენი გაუგებრობის დაძლევა მოგვიწევს, სანამ ყოველდღიურ პრაქტიკად დამკვიდრდებოდეს მეცნიერებისა და წარმოების მუშაკთა პარტნიორობის იდეა, რომელიც წამოაყენა ჩვენმა პლენუმმა მეცნიერების საკითხებზე. არადა, ყოველივე ეს ხომ ძიებაა იმის ობტიმალური ფორმებისა, თუ როგორ შევუსაბამოთ წარმოებითი ურთიერთობა დღევანდელ (და ხვალინდელ) საწარმოო ძალებს.

ჩვენს ქვეყანაში მისი განვითარების თანამედროვე ეტაპზე **ბაზისისა და ზედნაშენის,** საწარმოო ძალებისა და წარმოებითი ურთიერთობის მდგომარეობის საფუძვლიანმა ანალიზმა, რომელიც ამხანაგ ი. ვ. ანდროპოვის სიტყვაშია მოცემული, გვიჩვენა, რომ **დიდი მუშაობა მოგვიწევს როგორც იდეოლოგიური, პოლიტიკური, აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების, ისე წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის და საწარმოო ძალების ზრდის დაჩქარებისათვის, რაც მთელი ჩვენი საზოგადოების უმთავრესი ამოცანაა.**

შეავეხოთ ჩვენს რესპუბლიკაში ამ სფეროში შექმნილ მდგომარეობას. და დავიწყოთ თანამედროვე ეტაპზე საქართველოს **საწარმოო ძალების მდგომარეობითა და განვითარებით.**

საზოგადოების მთავარ საწარმოო ძალახ, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ადამიანი, მისი შრომითი საქმიანობა. ადამიანის, პიროვნების ჩამოყალიბების პრობლემამ განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობაში და ჩვენ ამაში ვხედავთ მთავარს ყოველივე იქიდან, რაც მოიწოლეს საქართველოს პარტიული ორგანიზაციის გამოცდილებაში, ვინაიდან სწორედ **ადამიანის პრობლემა იყო მიჩნეული ქვაკუთხედად რესპუბლიკის კომპარტიის მთელი საქმიანობისა იმ დადგენილების შესახსოულებლად, რომელიც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე.**

როგორც თავის მოხსენებაში აღნიშნა ამხანაგმა კ. უ. ჩერნენკომ, საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია თვით ადამიანის გარდაუქმნელად. ჩვენ თავადაც დავრწმუნდით საკუთარი გამოცდილებით, რომ ყველაფრის თავიდათავი ადამიანია, რომ ყოველი საქმე სწორედ ადამიანით უნდა დაიწყო. სწორედ ადამიანის აღზრდით, ადამიანის ჩამოყალიბებით, ადამიანისათვის, მასში ყოველივე ადამიანურისათვის ბრძოლით დავიწყეთ ჩვენ შეტევა რესპუბლიკის ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად.

ეკონომიკური ბაზისისა და მისი იდეოლოგიური ზედნაშენის ურთიერთზემოქმედების ინტენსიფიკაციის პროცესმა მკაფიო გამოხატულება პოვა სამეურნეო მაჩვენებლებზეც. ამის შესახებ ჩვენ მოკლედ მოვახსენეთ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმს. ნება გვიბოძეთ, დღესაც შევეხოთ ამ მაჩვენებლებს.

რა შეიცვალა რესპუბლიკის ეკონომიკაში 10 წლის მანძილზე? შეგახსენებთ, რომ 1,9-ჯერ გაიზარდა მთლიანი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცულობა: გორკეცდა წმრმოებული ეროვნული შემოსავალი; ერთობრივად გადიდდა მრეწველობის მთლიანი პროდუქცია, 1,6-ჯერ — სოფლის მეურნეობისა; 1,7-ჯერ გაიზარდა კაპიტალური დაბანდება სახალხო მეურნეობაში. წარმოების შინაგანი რეზერვების გამოვლენისათვის გაშლილი საერთო-სახალხო ბრძოლის სისტემამ შესაძლებლობა მოგვცა გამოგვშვა მილიარდ 677 მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. 1,6-ჯერ გაიზარდა საცალო საქონელბრუნვა; 1,8-ჯერ გადიდდა მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები.

ამის შედეგად მნიშვნელოვნად იკლო რესპუბლიკის შედარებითმა ჩამორჩენამ საშუალო საკავშირო დონისაგან ეკონომიკური და სოციალური განვითარების ყველა ძირითადი მაჩვენებლის მიხედვით. შესაბამისად გაიზარდა საქართველოს წვლილიც საერთო-საკავშირო დოგლათში: 1,3-დან 1,7 პროცენტამდე გაიზარდა რესპუბლიკის წილი ქვეყნის ეროვნული შემოსავლის წარმოებაში. საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად მიღებულია ეროვნული შემოსავლის მატების 91 პროცენტი, მრეწველობის პროდუქციის მატების 80 პროცენტი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთელი მატება.

უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიღწეულია არა მარტო უფრო მაღალი შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპი, ვიდრე საშუალოდ ქვეყანაში, არამედ უზრუნველყოფილია ამ მაჩვენებლის უპირატესი ზრდა ხელფასის ზრდასთან შედარებით. მაგალითად, უკანასკნელი ორი ხუთწლედის მანძილზე შრომის ნაყოფიერების მატების ტემპმა საქართველოში შეადგინა 73 პროცენტი, ხელფასისამ კი 37 პროცენტი. თანამედროვე პირობებში ამ ტენდენციის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს.

როგორ განვითარდება შემდგომ რესპუბლიკის საწარმოო ძალები?

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მიერ მთელი ქვეყნისათვის დასახული უახლოესი მიზანი ასეთია: დავამყაროთ წესრიგი იმაში, რაც ჩვენ გვაქვს, უზრუნველვყოთ საწარმოო და მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალის გონივრული გამოყენება.

დავამყაროთ წესრიგი იმაში, რაც ჩვენ გვაქვს, — ეს ნიშნავს უწინარეს ყოვლისა ავამაღლოთ ძირითადი საწარმოო ფონდების უკუგების კოეფიციენტი. უკანასკნელი ათწლეულის მანძილზე მათი მოცულობა სახალხო მეურნეობაში თითქმის ერთიორად გაიზარდა და 18,5 მილიარდ მანეთს მიაღწია. ამასთანავე არსებითი ნაკლოვანებანია ძირითადი საწარმოო ფონდების კვლავწარმოებაში, არ არის საკმარისი მათი ზრდის ტემპი. მეთერთმეტე ხუთწლედის დამდეგისათვის სახალხო მეურნეობის ფონდაღჭურვა საშუალო საკავშირო დონის 75 პროცენტს ძლივს აღწევდა, კაპიტალურმა დაბანდებამ ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით 1976-1980 წლებში საქართველოში შეადგინა ანალოგიური საშუალო საკავშირო მაჩვენებლის 68 პროცენტი. ნელა მიმდინარეობს ძირითადი საწარმოო ფონდებისა და საწარმოო სიმძლავრეთა ამოქმედების დროპოვმა, ეს საბჭოთა მეურნეობებად კოლმეურნეობათა მექანიკური გარდაქმნის გზით როდი მოხდება. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ არის სხვა გზებიც — ამაში ჩვენი რესპუბლიკის გამოცდილებითაც დავრწმუნდით, — მაგალითად, **აგროსამრეწველო ინტეგრაცია, საკოლმეურნეობათაშორისო და კოლმეურნეობრივ-საბჭოთამეურნეობრივი გაერთიანებების განვითარება.** რესპუბლიკაში 360-ზე მეტი სამეურნეობათაშორისო საწარმო და ორგანიზაციაა, რომლებიც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობის საფუძველზე შეიქმნა. სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის შერწყმის გზით გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსების შექმნა-განვითარება.

ოშვა და ვითარდება მოსახლეობის პირად მეურნეობებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოოპერაციის ფორმა. ჩვენს საზოგადოებათმცოდნეებს, უწინარეს ყოვლისა, ეკონომისტებს მარჯებთ კიდევ უფრო გააღრმაონ და განაზოგადონ ეს გამოცდილება.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ჩვენ ვთქვით, რომ ექსპერიმენტი ჩვეულებრივი მოვლენა უნდა გახდეს. ისევე, როგორც მეცნიერების განვითარება შეუძლებელია ცდების გარეშე, საზოგადებრივი ცხოვრებაც შეუძლებელია უექსპერიმენტებოდ, სიახლის უძებნელად. ექსპერიმენტების მნიშვნელობა მარტოოდენ ეკონომიკური შედეგებით როდი ფასდება. აქ ვიღებთ უდავო იდეოლოგიურ, მორალურ-ზნეობრივ ეფექტს, ყალიბდება ათასობით ადამიანის ხასიათი, ამოქმედდება მთელი ინტელექტუალური მექანიზმი და მსოფლმხედველობითი თვალსაზრისით უფრო სრულყოფილნი ხდებიან კადრები.

ეკონომიკური აქციები, რომლებიც არ არის დადასტურებული ექსპერიმენტით, გამოცდილებით, არ ეყრდნობა კომპლექსურ მეცნიერულ მიდგომას, არ ითვალისწინებს საზოგადებრივ აზრს, მცდარად გაანგარიშებული ნორმატივები და ფასებიც კი ნაკლებ იდეოლოგიურ ზიანს ოდენ გვაყენებენ, ვიდრე ჩვენი კლასობრივი მტრების წოგნები და ბროშურები, ამ სფეროს ხარვეზები არავის რჩება შეუმჩნეველი. კოსმეტიკეოფობა პროგრესსა ადამიანი უფრო აქტიური გახდა. დღეს ვეღარ დავტოვებთ უპასუხოდ შეკითხვებს. დიალოგი ბოლომდე მოითხოვს პატიოსნებასა და რეალიზმს.

შეეხო რა წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფის საკითხებს, ი. ვ. ანდროპოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს დაგეგმვა და მართვა, აღიკვეთოს რესურსების გაუმართლებელი დაქსაქსვა, გეგმების შეუწონასწორებლობა, განსხვავება სასაქონლო მასასა და მოსახლეობის შემოსავალს შორის. ეს ნაკლოვანებანი რესპუბლიკაშიც არის. **აღმოვფხვრათ დისპროპორციები მოსახლეობის ფულადს შემოსავალსა და ამ შემოსავლის სასაქონლო ბუნებრივ-ფიზიკურ საშუალებებს — ეს სამეურნეო ამოცანაც არის და პოლიტიკურიც.**

მეორე საკითხი: შრომის მიხედვით სოციალისტური განაწილების პრინციპის შესახებ. გაწეული შრომის რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისად მატერიალური დოვლათის განაწილების უზრუნველმყოფ, შრომის ძირითად საზომს, როგორც ცნობილია, წარმოადგენს ხელფასი. მისი ზრდის მთავარი გზაა თვით შრომის ეფექტიანობის ამაღლება. გამოანგარიშებულია: იმისათვის, რომ ხუთწლედის დამლევს რესპუბლიკის მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საშუალო საკავშირო დონემდე მიღწევა უზრუნველვყოთ, ჩვენ გვმართებს ყოველწლიურად 6,4-6,6 პროცენტით ვზარდოთ სამრეწველო წარმოების მატების ტემპი, უმთავრესად, შრომის ნაყოფიერების ზრდის გზით. ხელფასის მომატების სხვა გზა არ არის, სწორედ ასეთი ტემპით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, როცა ვაყალიბებთ ჩვენი ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებს.

ამ და სხვა სახალხო-სამეურნეო პრობლემებთან დაკავშირებით განსაკუთრებით მწვავედ დგას ეკონომიკური განათლების შემდგომი სრულყოფისა და გაორმაგების საკითხი. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე აღინიშნა, საჭიროა ატ ეტაპად ჩამოვაყალიბოთ ახალი ტიპის ეკონომიკური აზროვნება. ეს განსაკუთრებით საჭიროა თანამედროვე პირობებში, ახალი შრომის ორგანიზაციის, სამეურნეოანგარიშანი ბრიგადების შექმნის დროს, როცა საჭიროა არა მარტო თვით ბრიგადირის, არამედ ბრიგადის თითოეული წევრის სოლიდური ეკონომიკური მომზადება. ახლა უკვე სავსებით ცხადია, რომ სამეურნეოანგარიშიანი, უგანწესო ბრიგადა სოფლად ეფექტიანად ვერ იმოქმედებს თითოეული მუშაკის სოლიდური ეკონომიკური, ფინანსური ცოდნის გარეშე. ეს ცოდნა საჭიროა თვით წარმოების პროცესში, და სწორედ იგი, ეს კონკრეტული ცოდნა, უმთავრეს ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებში გარკვევის უნარი, უნდა დაგვეხმაროს მატერიალური დოვლათის შექმნაში, შრომის ნაყოფიერების ამაღლებაში, ახალი საბოლოო შედეგების მიღწევაში. ყველა ამ პრობლემას შემოქმედებითად უნდა მიუდგეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელთა ეკონომიკური განათლების რესპუბლიკური საბჭო და წარმოადგინოს თავისი პრაქტიკული რეკომენდაციები და პროექტები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ წარმოებითი ურთიერთობის განვითარება დღეს ახალ მოთხოვნებს უყენებს სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციასაც. ამ სფეროში ჩვენ ბევრი რამ გვაკეთებ. ცნობილია ნაკლოვანებანიც, მათ შესახებ არაერთგზის გვილაპარაკია. უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ ფორმალიზმი და უსულგულობა, უნდა ვიფიქროთ, ამხანაგებო, იმაზე, რომ საერთო-რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მთავარი მიმართულება, ძირითადი შინაარსი გახდეს ბრძოლა იმისათვის, რომ **თითოეული საწარმო დარგში, რესპუბლიკაში, ქვეყანაში საუკეთესოთა რიგებში ჩავაყენოთ.**

ზუსტად უნდა შევიმუშაოთ, დავაკონკრეტოთ ნორმები, ძირითადი მიჯნები, რომლებიც განსაზღვრავს სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულს. საგეგმო დავალებების, სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლა ჭეშმარიტად შრომითი ფრონტია და მოცემული რეგიონისათვის, მოცემული ორგანიზაციისათვის ეკონომიკის განვითარების მაქსიმალურად მაღალი დონის მიღწევა საბრძოლო დავალების ტოლფასია. სწორედ ასეთი მიდგომაა საჭირო თითოეულის შრომის შეფასებისას. ამის შესაბამისად უნდა გარდაიქმნას მატერიალური და მორალური სტიმულების მთელი სისტემა.

ამ შემთხვევაში შეგძლებთ ავამაღლოთ სოციალისტური შეჯიბრების აღმზრდელობითი როლი.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ლაპარაკი იყო შეგზებული სოციალისტური დისციპლინის ჩანერგვისათვის მიზანსწრაფულ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობაზე. ჩვენთვის ეს საკითხი ყოველთვის ერთ-ერთი უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი იყო. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენ განვლეთ დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის გარკვეული ეტაპი, შექმნილია თავიდან ბოლომდე გარკვეული სისტემა პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში. ამის შედეგად შემცირდა დანაკარგები, ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. ახლა ვიცით, როგორ უნდა ვიმუშაოთ. მაგრამ რა გვაკლია? გვაკლია კონკრეტულობა და საგნობრიობა, ძირითადის ჩაწვდომის უნარი. ამ საქმეში ხარვეზები იმიტომ ხდება შესაძლებელი, რომ ამხანაგებს ავიწყდებათ პარტიის ის მითითებანი, რომ ბრძოლა დისციპლინის განმტკიცებისათვის ხანმოკლე კამპანია კი არ არის, არამედ ყოველდღიური გულმოდგინე მუშაობაა, ეკონომიკის განვითარების, განვითარებული სოციალიზმის სრულყოფის უმნიშვნელოვანესი რეზერვია.

დატაკების, ბოროტმოქმედების, სახალხო დოვლათის გახიავების ფაქტები მოწმობს, რომ პარტიულ კომიტეტებთან, სახელმწიფო და საბჭოთა ორგანოებთან დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის კომისიები და სამუშაო ჯგუფები მთელ რიგ შემთხვევებში ფორმალურად არსებობენ. სწორედ რომ არსებობენ. საჭირო კია, რომ ისინი მუშაობდნენ!

დისციპლინის განმტკიცების რაღა სისტემაა ეს, თუ სახელმწიფო სახსრების დიდი დატაცება აღმოვაჩინეთ ხილოსტნეულის მეურნეობის სამინისტროს ლილოს ხილოსტნეულის შესანახ, გადასამუშავებელ და სარეალიზაციო კომბინატში, სადაც კასპის კოოპერაციასთან და დონეცკის ოლქის ერთ-ერთ სავაჭრო ორგანიზაციასთან უსაქონლო ოპერაციების გზით მითვისეს 800 ათას მანეთზე მეტი, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცემულია რამდენიმე კაცი?! თუ შესაძლებელი აღმოჩნდა საქმოსნებისა და კომბინატორების დანაშაულებრივი საქმიანობა სიღნაღის რაონის ანაგის ღვინის ქარხანაში, ბოლნისისა და კასპის საკონსერვო ქარხნებში, სოხუმისა და გალის რაიონების დამამზადებელ ორგანიზაციებში?

ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის მთელმა სისტემამ საშუალება უნდა მოგვცეს თავიდან ავიცილოთ, აღვკვეთოთ დანაშაულობანი, და არა მარტო აღნუსხოს, დაადასტუროს ისინი. მაშასადამე, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ ამ პროცესების მართვა, საჭირო პროფილაქტიკური მუშაობა, რომელზეც დაუსრულებლივ ვლაპარაკობთ, თუ სოციალისტური საკუთრების ხელყოფის, კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიისა და მორალის გამოვლინების ფაქტებს ვხდებით კვების მრეწველობის სამინისტროს ბევრ ობიექტში, კერძოდ, რესპუბლიკური გაერთიანების „საქპურკონდიტერის“ სისტემაში, წვენების საწარმოებში, საკონსერვო მრეწველობაში. საქმისნობის სულისკვეთებას ბოლომდე ვერ დაალწიეს თავი ადგილობრივი მრეწველობის სისტემის საწარმოებმა. ზშირია თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულობანი საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში. სერიოზული მდგომარეობა შეიქმნა სოფლის მეურნეობის პროდუქციის დამზადების სისტემაში.

ღღეს მინდა კვლავ შეგახსენოთ, რომ დისციპლინა იწყება კაბინეტებიდან, ხელმძღვანელებიდან. ამიტომ ყოველი რანგის ხელმძღვანელს, უწინარეს ყოვლისა, პარტიულ ხელმძღვანელს, ყველაზე მეტი ეზნა მოვკითხოთ ყველგან და ყველაფერში ზუსტი, უნადო წესრიგისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ თავად ხელმძღვანელმა უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა თითოეულისადმი პარტიულ კომიტეტებში, თავის შრომითს კოლეკტივში, ორგანიზაციაში, ჩაუნერგოს თითოეულ კომუნისტს მაღალი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მუშაობის მინდობილი უბნისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ასეთი მიდგომით შეგძლებთ მივაღწიოთ პარტიული, სახელმწიფო, შრომის, საწარმოო, საგეგმო დისციპლინის უფრო მეტ განმტკიცებას— ყველა დონეზე, ყველა რგოლში.

პარტია მუდამ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა უზრუნველვყოთ ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის მჭიდრო კავშირი. ამ პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმო სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზეც. როცა სამეურნეო გეგმებს ვადგენთ, უნდა ვისწავლოთ ყოველმხრივ ვითვალისწინებდეთ და ავსახავდეთ მათში საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს — სოციალურ, ეროვნულ, დემოგრაფიულ ფაქტორებს. როგორც იური ვლადიმერის ძე ანდროპოვმა თქვა, **ეს უნდა იყოს პარტიის ერთიანი პოლიტიკა, საზოგადებრივი განვითარების ერთიანი სტრატეგია.**

პირველ პლანზე ღგება საბინაო მშენებლობის პრობლემები. უკანასკნელი წლების მანძილზე ამ დარგში მივაღწიეთ მაღალ რაოდენობრივ მაჩვენებლებს. მარტო ორ წელიწად-ნახევარში საექსპლოატაციოდ გადაეცა 2 მილიონ 685 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ბინები. ეს 16,5 პროცენტით აღემატება მეათე ხუთწლედის შესაბამის პერიოდში საექსპლოატაციოდ გადაცემულ ფართობს.

მაგრამ ბინების მწყობრში ჩაყენების გეგმების შესრულებისას ამ მიზნებისათვის გამოყოფილ კაპიტალდაბანდებებს წლითიწლობით ვერ ითვისებენ. უკანასკნელი ორი წლის მანძილზე ამ თანხამ თითქმის 29 მილიონი მანეთი შეადგინა. კაპიტალდაბანდებათა ბოლომდე აუთვისებლობას გარკვეულ წილად მოსდევს ბინების ცუდი ხარისხი. ამის შედეგად ბევრი ახალმოსახლე ზშირად თვითონ აწარმოებს რემონტს, რასაც, ჩვენი საზოგადებრივი აზრის შესწავლის, პროგნოზირებისა და ფორმირების ცენტრის გამოანგარიშების თანახმად, საშუალოდ ხმარდება დაახლოებით 28 მანეთი ეს-ეს არის საექსპლოატაციოდ გადაცემული ბინის ერთ კვადრატულ მეტრზე.

რესპუბლიკაში საბინაო მშენებლობის პრობლემას ესეც ამწვავებს: თუმცა უკანასკნელ წლებში გაწეულია დიდი მუშაობა ბარაკებსა და სარდაფებში საცხოვრებელი სადგომების ლიკვიდაციისათვის, მაგრამ დასახული პროგრამის მესამედი ჯერ არ არის რეალიზებული. უნდა განთავისუფლდეს კიდევ 174 ათასი კვადრატული მეტრი ასეთი სადგომი, რომლებშიც 23 ათასზე მეტი კაცი ცხოვრობს.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

(გაგრძელება)

ეს პრობლემა კიდევ უფრო მწვავდება, თუ გავითვალისწინებთ, რომ მარტო თბილისში არის 1.000-ზე მეტი ძველი და ამორტიზებული სახლი, რომელთაგან ბევრი აღარაღარ მდგომარეობაშია. ასეთივე მდგომარეობაა სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში, სხვა სამრეწველო ცენტრებში.

საუკეთესო პოლიტიკური მუშაობა ასეთი კატეგორიის მოსახლეობასთან, ასეთ სახლებში, ასეთ სადგომებში მცხოვრებ ადამიანებთან ნიშნავს კაპიტალდაბანდებათა უთუო ათვისებას. **სახლთა პრობლემის გადაწყვეტა არა მარტო სამეურნეო, არამედ პოლიტიკური საკითხიც** გახლავთ და მას უდიდესი იდეოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობის ეფექტიანობას კონცენტრირებულად ასახავს მომსახურების სფერო — მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება. მაგრამ სწორედ ამ დარგში გვაქვს განსაკუთრებით ბევრი ნაკლი. უაღრესად ნელა მცირდება რესპუბლიკის ჩამორჩენა საცალო საქონლბრუნვის ზრდის საშუალო საკავშირო დონისაგან. 1982 წელს ამ მაჩვენებლის გეგმა შესწორდა და 130 მილიონი მანეთით შემცირდა, მაგრამ ისიც ვერ შესრულდა — მოსახლეობას დააკლდა 66 მილიონი მანეთის საქონელი. მომდინარე წლის ხუთ თვეში სხვაობამ უკვე შეადგინა 70 მილიონი მანეთი. ვაჭრობის სამინისტროს, ცეკავშირის, სავაჭრო ქსელის მქონე სხვა სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები ეფექტიან ღონისძიებებს არ ახორციელებენ დარგში წესრიგის დასამყარებლად. გადაუჭრელი პრობლემებია საყოფაცხოვრებო მომსახურებაშიც, თუმცა მთლიანად დარგში გეგმები ყოველწლიურად გადაჭარბებით სრულდება.

განსაკუთრებით საჭირბოროტოა სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა. ესეც დიდი პოლიტიკური საკითხია. უყურადღებას იჩენობს წუნდებული და ხარისხდაქვეითებული პროდუქციის ჯერ კიდევ მაღალი პროცენტი. ასეთი პროდუქციის ხვედრითი წილი განსაკუთრებით მკვეთრად იზრდება მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს პროდუქციის ხარისხი.

პარტიული, სამეურნეო ორგანოების ამოცანაა აამაღლონ პროდუქციის ხარისხის მართვის ისეთი მექანიზმი, რომელიც საწარმოებს, მუშებს, მეცნიერებს, კონსტრუქტორებს მაქსიმალურად დაიინტერესებდა პირველხარისხოვანი პროდუქციის გამოშვებით.

ამ პრობლემის გადაჭრაში დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იდეოლოგიური ზემოქმედების საშუალებებმა, ამასთან მიაღწიონ იმას, რომ ეს დაინტერესება ფასდებოდეს არა მარტო მანეთით, არამედ ადამიანთა მაღალი შეგნების, საქმისადმი მათი შემოქმედებითი დამოკიდებულების მაჩვენებელი იყოს.

ამხანაგებო!

სამეურნეო საკითხებს ასე დაწვრილებით იმიტომ შევეხეთ, რომ მარქსმა, ენგელსის თქმით, აღმოაჩინა ის უბრალო ფაქტი, რომ **ადამიანებს უწინარეს ყოვლისა უნდა ჭამონდეთ სასმელი, სასმელი, ბინა და ჩასაცმელი, ვიდრე შეძლებენ მოაკადონ ხელი პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას და ა. შ.**

ამას შეიძლება დავუმატოთ, რომ ადამიანებს, რა თქმა უნდა, უნდა ჭამონდეთ კარგი ჯანმრთელობა, ამიტომ პარტიის სოციალურ პოლიტიკაში, როგორც ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, სულ უფრო დიდი ადგილი დაეთმობა ჯანმრთელობის დაცვის საკითხებს. ბოლო ათწლეულის მანძილზე რესპუბლიკაში ამ სფეროში ბევრი სასარგებლო რამ გაკეთდა. მაგრამ პრობლემებიც ჯერ კიდევ ბევრია. სერიოზულ შეშფოთებას იწვევს სამედიცინო კადრების პროფესიული მომზადების დონე. ჯერჯერობით მოთხოვნებს სულაც არ შეესაბამება ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო და რაიონული, კაცმა რომ თქვას, ზოგიერთი საქალაქო დაწესებულებანი, მთელ რიგ რაიონებში მოსახლეობის დაავადების სტაბილურად მაღალი მაჩვენებლებია, წლები ისე გადის, რომ არ მცირდება ბავშვთა სიკვდილიანობა.

თუ ყურადღებით გავერკვევით მედიცინის ზოგიერთი დარგის საქმიანობაში, აღმოჩნდება, რომ ვმუშაობთ პროვინციულ დონეზე, სერიოზულად ჩამოვრჩით მოსკოვში, უკრაინაში, სხვა ქალაქებსა და რესპუბლიკებში მიღწეულ დონეს. მაგრამ ამის თაობაზე პატიოსნად არავინ არ მოგვახსენებს, არავინ არ აწვდის ინფორმაციას ჩვენს საზოგადოებრიობას.

თუმცა, ეს შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, ნახეთ, ჩვენი რესპუბლიკის რამდენი მცხოვრები ცდილობს მოხვდეს მოსკოვის სამედიცინო დაწესებულებებში, მიმართავს მათ დახმარებისთვის! როგორც ჩანს, ჩვენი სამკურნალო დაწესებულებების, დარგობრივი ინსტიტუტების, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ბევრმა ხელმძღვანელმა დაკარგა პროფესიული თავმოყვარეობა. რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსაგან ველით უფრო გადამწყვეტ ღონისძიებებს. ამ სფეროში სანიმუშო წესრიგი უნდა დამყარდეს.

პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული ორგანოების მეტ ზრუნვასა და ყურადღებას მოითხოვენ სანატორიულ-საკურორტო, ტურისტული დაწესებულებანი, რომელთა მუშაობაშიც სერიოზული ნაკლოვანებანია.

სიტუვამ მოიტანა და ტურიზმს შევეხებით. ამ დღეებში გაზეთი „კომუნისტი“ ტურისტების საყურადღებოდ იტყობინებოდა, რომ შეუძლიათ ისაუგეგლონ ცეკავშირის კარვების ქალაქთან, რომელიც გაშენებულია მაღალი მთის სოფელ ზატილში, სადაც მათ ვერტმფრინავები გადაიყვანენ. ეს კარგი საქმეა. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიგვაჩნია განვავითაროთ ისეთი სახეობის ტურიზმი, ეს კი პრინციპული საკითხია, რომელიც, ერთი მხრივ, დაგეგზმარება გამაჯანსაღებელი ფუნქციების შესრულებაში, ადამიანთა ჯანმრთელობის გაკაჟებაში, შრომლიური მხარის ღირსშესანიშნაობათა და სილამაზის გაცნობაში და, მეორე მხრივ შექმნის პირობებს, რათა გაიზარდოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სამომხმარებლო და რთულ მთის პირობებში მომუშავე სხვა ორგანიზაციების შემოსავალი, და ხელს შეუწყობს ადამიანთა დამკვიდრებას მთებში, შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას. ეს სერიოზული პრობლემაა, და მის გადაწყვეტაზე სერიოზულად უნდა ვიფიქროთ.

ამხანაგებო!

განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სრულყოფა უწინარესად გულისხმობს მისი ბაზისის, მისი ეკონომიკური წყობილების **განმტკიცებასა და სრულყოფას,** იმ წარმოებითს ურთიერთობათა ერთობლიობას, რომლებიც საფუძვლად უდევს ყველა სხვა სოციალურ ურთიერთობას.

ამასთან სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი ჩვენს უყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საწარმოო ძალებსა და საწარმოო ურთიერთობის სრულყოფაში ღრმა თვისებრივ ცვლილებებთან მჭიდრო ურთიერთკავშირით უნდა ხდებოდეს ცვლილებანი ადამიანთა შეგნებაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა იმ ფორმაში, რომლებსაც **ზედნაშენს** ვუწოდებთ.

ამგვარად, საქმე ეხება ბაზისისა და ზედნაშენის დიალექტიკას. დიახ, ზედნაშენის ხასიათს განსაზღვრავს ბაზისის ხასიათი. მაგრამ ზედნაშენი, როგორც ცნობილია, თავის მხრივ ზეგავლენას ახდენს ბაზისზე.

მაშასადამე, ჩვენი ეკონომიკური წყობილების განმტკიცებისა და სრულყოფისათვის, მთელი ჩვენი ეკონომიკის ეფექტიანი განვითარებისათვის საჭიროა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების, ყველა ჩვენი სოციალური ინსტიტუტისა და მთელი იდეოლოგიური ზედნაშენის, საზოგადოებრივი შეგნების ყველა ფორმის სრულყოფა.

II.

იდეოლოგიურ მუშაობაში პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა დაგვისახა უზრუნველყოთ საზოგადოებრივ, და, უწინარეს ყოვლისა, ეკონომიკის მეცნიერებათა დარგში იდეურ-თეორიული მუშაობის ახალი, მნიშვნელოვნად უფრო მაღალი დონე, მან თქვა, რომ საჭიროა მტკიცე შემობრუნება იმ რეალური, პრაქტიკული ამოცანებისაკენ, რომლებსაც ცხოვრება უყენებს ჩვენს საზოგადოებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებანი, ისევე როგორც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები უნდა გახდეს პარტიისა და მთელი ხალხის ეფექტიანი თანაშემწე ამ ამოცანათა გადაწყვეტაში.**

საზოგადოებრივ მეცნიერებათა განვითარებას სერიოზულ ყურადღებას უთმობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. ბოლო ათწლეულში მიღებულია დიდმნიშვნელოვანი დადგენილებანი საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის, ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტისა და სხვა ინსტიტუტების მუშაობის შესახებ. ამ პარტიულ დოკუმენტებს წიგნულ ზოლად გასდევს მოთხოვნა, რომ საზოგადოებათმცოდნეთა ძირითადი ძალები მოხმარდეს იმ პრაქტიკულ ამოცანათა გადასაწყვეტად, რომლებიც დგას რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების, ყველა მშრომელის წინაშე.

საქართველოს საზოგადოებრივ მეცნიერებებს მდიდარი და სახელოვანი ტრადიციები აქვთ. და დღეს ჩვენი საზოგადოებათმცოდნენი მათთან სერიოზულ და საინტერესო მუშაობას ეწევიან მრავალი მიმართულებით. ჩვენ არაერთხელ მადლიერებით აღგვინიშნავს დახმარება, რომელსაც ისინი გვიწევენ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ბევრი პრაქტიკული პრობლემის გადაჭრაში, მაგრამ ახლა ჩვენი საზოგადოებათმცოდნეების წინაშე დგას უფრო მასშტაბური, უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებზეც ლაპარაკი იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე.

ჩვენმა ფილოსოფოსებმა, რომლებიც უნდა ეყრდნობოდნენ ქვეყანაში განვითარებული სოციალისტური საზოგადოების აშენების ისტორიული გამოცდილების, თანამედროვე საბუნებისმეტყველო, ტექნიკური და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევების განზოგადებასა და გაანრავებას, კვლავაც უნდა განავითარონ დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, უფრო ღრმად გამოიკვლიონ მომწიფებული სოციალიზმის განვითარებისა და კომუნიზმში მისი თანდათანობით გადაზრდის კანონზომიერებანი, აითვისონ ჩვენი ფილოსოფიის მეცნიერების ახალი მიღწევები, მათ შორის ეგრეთწოდებულ არატრადიციულ დარგებშიც, კიდევ უფრო განავითარონ, კერძოდ, ადამიანის მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიური კონცეფცია, რომელიც, ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ჩვენს იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში, რადგან იგი მიზნად ისახავს ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას; უფრო მკაფიოდ და გასაგებად გააშუქონ ჩვენი საზოგადოებისა და ჩვენი მსოფლმხედველობის ჰუმანისტური არსი, გამოავლინონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევების სოციალისტური წყობილების უპირატესობებთან შეერთების ისეთი კონკრეტული გზები, რომლებიც გამორიცხავს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მავნე სოციალურ შედეგებს, გამოიკვლიონ ახალი საზოგადოების მრავალეროვნული და ინტერნაციონალური კულტურის განვითარების კანონზომიერება, სოციალისტური საზოგადოების სოციალურ და ადამიანურ ღირებულებათა გამრავლების გზები და საშუალებანი.

ჩვენი ეკონომისტების წინაშე დგას ფრიად საპატიო ამოცანა — დაამშვენონ მომწიფებული სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები, გამოავლინონ მომწიფებული სოციალიზმის შემდგომი სრულყოფის, კომუნიზმში მისი თანდათანობით გადაზრდის ღრმა ეკონომიკური კანონები და ამ საფუძველზე გააღრმაონ რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარების კონკრეტული პრობლემების კვლევა, შეიმუშაონ მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები მართვისა და დაგეგმვის, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის სტიმულირების საკითხებზე, განაზოგადონ გამოცდილება, რომელიც შეძენილია ჩვენში მთელი რიგი სამეურნეო ექსპერიმენტების განხორციელების, საწარმოო ურთიერთობის სრულყოფის საქმეში.

ყველა ეს დებულება, რა თქმა უნდა, სწორია. ისინი ეჭვს არ იწვევს. მაგრამ არის ერთი პრობლემა, რომელსაც მსურს შევეხო უფრო დაწვრილებით, რადგან იგი განსაკუთრებით გვაწუხებს.

ეკონომიკური კვლევის დარგში, ისევე როგორც საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა სფეროებშიც, არ უნდა იყოს ეგრეთ წოდებული „აკრძალული თემები“, „აკრძალული ზონები“, რომელთა გადაბიჯებასაც მეცნიერი ეკონომისტი ვერ ბედავს, ეშინია, ამა თუ იმ თანამდებობის პირის უკმაყოფილება, ზოგჯერ კი გულისწყრომაც არ გამოიწვიოს, რადგან მისი ეკონომიკური დასაბუთებანი და ანალიზური ცნობები ეწინააღმდეგება ოფიციალურს, ამა თუ იმ თანამდებობის პირისათვის სასურველ ვერსიას ეკონომიკაში საქმის ვითარების შესახებ.

გახსოვთ, როცა სამოციანი წლების დამლევსა და სამოცდაათიანი წლების დამდეგს ჩვენმა ეკონომისტებმა სცადეს გამოეკვლევნებინათ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში წარმოქმნილი დისპროპორციები და გამოთქვეს შეშფოთება იმის გამო, რომ იგი თავს ვერ ართმევს ძირითადი საგეგმო დავალებების შესრულებას, ისინი ჩათვალეს „სიმშვიდის დამრღვევებად“ და მათი სიგნალები დარჩა „ხმად მოაღადებლისა უდაბნოსა შინა“. და მერე? სერიოზული გართულებანი მოხდა მერვე ხუთწლედში, ჩაშლის საფრთხე შეექმნა მეცხრე ხუთწლედის პირველი ორი წლის შედეგებს, დაქვეითება იწყო ზოგიერთმა უმნიშვნელოვანესმა მოცულობითმა მაჩვენებელმა. საჭირო გახდა რესპუბლიკის მთელი პარტორგანიზაციის, ყველა კომუნისტის, მთელი ჩვენი ხალხის კოლოსალური მეცადინეობა, ძალების დაძაბვა, რათა მდგომარეობა გამოსწორებულიყო.

დასაშვებია განა ეს? თუ ჩვენ მეცნიერი ეკონომისტებისაგან პრაქტიკულ რეკომენდაციებს ველით, თუ გვჭირდება მათი რჩევა-დარიგებანი და გვწამს, რომ შეუძლიათ დაგეგხმარონ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, მაშინ, ალბათ, ყურად უნდა ვიღოთ, ანგარიში გაუწიოთ მათს აზრს.

ყოველივე ამას იმიტომ კი არ ვამბობთ, რომ მხოლოდ წარსული გავიხსენოთ. წარსული უკვე უკან მოვიტოვეთ, საქმე იმას ეხება, რომ არ დავუშვათ ამგვარი შეცდომები დღეს, და მით უმეტეს, ხვალ. ჩვენ კვლავაც უნდა განვავითაროთ ჩვენი ეკონომიკა, ავიყვანოთ იგი ახალ, თვისებრივად უფრო მაღალ დონეზე, ეს უნდა გავაკეთოთ ჩვენს ეკონომისტებთან ერთად, მათი ყველაზე აქტიური და დაინტერესებული მონაწილეობით. დღეს თქვენგან, ამხანაგებო, მოველით რესპუბლიკის ეკონომიკაში საქმის ნამდვილი ვითარების ღრმა და მართალ ანალიზს, პრაქტიკულ რეკომენდაციებს დისპროპორციათა აღმოფხვრისათვის, რომლებიც ჯერ კიდევ არის ცალკეული დარგებისა და რეგიონების განვითარებაში.

ამიტომ დღეს დაბეჯითებითი თხოვნით, უფრო მეტიც — კატეგორიულად მოვითხოვთ: გვერდს ნუ აუვლით მწვავე საკითხებს, უფრო გაბედულად გამოავლინეთ ნაკლოვანებანი, ეკონომიკის ამა თუ იმ სფეროში „ვიწრო ადგილების“ წარმომშობი მიზეზები, ნუ შეგეშინდებათ, თუ თქვენი თვალსაზრისი მთლიანად არ დაემთხვევა რესპუბლიკის საქმეწარმოო საგეგმო კომიტეტის, სხვა დარგობრივი და საუწყებათაშორისო ორგანოების მუშაკთა პოზიციებს.

დაე, ეს თვალსაზრისი ყოველთვის ნუ იქნება სწორი, დაე, იგი ყოველთვის ნუ იქნება მისაღები. მაგრამ ეს უკეთესია, ვიდრე ეკონომიკური აზრის მოდუნება, ვიდრე უძრაობა და რუტინა, ვიდრე შიში, ვაითუ ვინმეს ვაწყენინოო. სწორ გზას, სწორ გადაწყვეტას კი ჩვენ ყოველთვის ვიპოვით. ამისათვის არსებობს ჩვენში კოლექტიური ორგანები, კოლექტიური აზრი, მზადყოფნა განვაზრიელოთ კოლექტიური ღონისძიებანი.

დღეს უნდა შევეხოთ იმასაც, რომ საქმისადმი ასეთი შემოქმედებითი დამოკიდებულების, წარმოქმნილი პრობლემებისადმი ეკონომიკის მეცნიერების მუშაკთა ასეთი შემოქმედებითი მიდგომის დამკვიდრება ბევრად არის დამოკიდებული ცენტრალურ კომიტეტზე, მის ხელმძღვანელობაზე, ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და განყოფილებებზე, იმაზე, თუ რა ტონს მიეცემთ მუშაობას, რა მოთხოვნებს, რა ამოცანებს წამოვაყენებთ, რა პირობებს შევქმნით ღრმა მეცნიერული კვლევისათვის. საამისოდ საჭიროა გაგუხსნათ ყველა სარქველი ნამდვილად შემოქმედებითს შრომას, ჩვენი მეცნიერი ეკონომისტების თავისუფალ მოქმედებას. სხვაგვარად ყველაფერი შეიძლება შემოიფარგლოს პრობლემების დაყენებით, პრაქტიკული უკუგება კი ვერ მივიღოთ. ჩვენ ამ საქმეში რეალური გარდატეხის დიდი იმედი გვაქვს.

ყოველივე ნათქვამი თანაბრად ეხება ჰუმანიტარულ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა სხვა დარგებსაც.

მეცნიერული კომუნიზმის დარგის სპეციალისტები, რა თქმა უნდა, ვერ შემოიფარგლებიან ჩვენი წყობილების უპირატესობათა ზოგადი პროპაგანდით. მათი პირდაპირი მოვალეობაა გამოიკვლიონ ჩვენს საზოგადოებაში მიმდინარე კონკრეტული სოციალური პროცესები, გამოავლინონ წამოჭრილ სოციალურ ამოცანათა გადაწყვეტის ოპტიმალური გზები, წარმოაჩინონ ჩვენი საზოგადოების განვითარების კონკრეტული კანონზომიერებანი, და ყოველივე ეს უნდა გვაკეთოთ სრულიად კონკრეტული მაგალითებით, კონკრეტულ ანალიზზე დაყრდნობით.

პარტიის ისტორიის მეცნიერების წინაშე მდგომ დიდ და მნიშვნელოვან ამოცანებს ჩვენ არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დაწვრილებით შევეხეთ, როცა ჩვენი პარტიის ისტორიის ინსტიტუტს გადავეცით შრომის წითელი დროშის ორდენი.

აღვნიშნავთ მხოლოდ მთავარს— ჩვენი პარტიის, ჩვენი პარტიული ორგანიზაციის სახელოვანი წარსულის კვლევა სულ უფრო მეტად, უკეთ და ღრმად უნდა ერწყმოდეს დღევანდელი და ხვალინდელი დღის ამოცანათა კვლევას.

როგორც ჩანს, არ არის საჭირო დაწვრილებით ვილაპარაკოთ კონკრეტულ ამოცანებზე, რომლებიც დგას სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ისტორიკოსების, სამართალმცოდნეების, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების წინაშე. საჭიროა მხოლოდ, რომ მათ ღრმად შეიგნონ: დღევანდელ პირობებში, როცა წინა პლანზე დგას **საწარმოო ძალებში და წარმოებითი ურთიერთობის მიზანმიმართულ, გეგმაზომიერ სრულყოფაში ღრმა თვისებრივი ცვლილებების ამოცანა, საზოგადოებრივი მეცნიერებანი სულ უფრო მეტად უნდა მკვდრდებოდეს საზოგადოებრივი წარმოების სფეროში.**

თუ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები არ შეუერთდა სოციალისტური წყობილების უპირატესობებს, საზოგადოებრივი წარმოების პროგრესი დღეს შეუძლებელია. სოციალიზმის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევათა გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი სპეციფიკური თვისებურება ის გახლავთ, რომ საჭიროა გავითვალისწინოთ ამ გამოყენების არა მარტო ეკონომიკური მომგებიანობა და ტექნოლოგიური ეფექტიანობა, არამედ საზოგადოების სოციალურ და სულიერ განვითარებაზე, ბუნებასთან საზოგადოების ურთიერთობის ხასიათზე მისი შესაძლო გავლენაც. ყოველივე ეს განსაზღვრავს სწორად საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფუნქციების გაფართოებას მომწიფებული სოციალიზმის პირობებში, ამ მეცნიერებათა მონაცემების გამოყენების აუცილებლობას როგორც ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმების დაპროექტებისას, ისე მათი რეალიზაციის დროსაც.

ჩვენ მეტად უნდა ვიზრუნოთ აგრეთვე საზოგადოებრივ მეცნიერებათა იდეურ-აღმზრდელობითი როლის ამაღლებისათვის. იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის უმაღლესი მიზანია ყოველმხრივ და ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბება, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მთელი მისი ძალების სრულად გამოვლენა, მისთვის უკეთილშობილესი ადამიანური თვისებების ჩანერგვა.

მთლიანად, ამხანაგებო, შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებათმცოდნეობის მეცნიერების წინაშე მდგომი მიზნები ნათელი და გარკვეულია. **ახლა მთელი სიგრძე-სიგანით დგება საკითხი: როგორ განვაზორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მიერ დასახული ამოცანები, როგორ ავამაღლოთ სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების, კათედრების, ხათიათაოდ ყოველი მეცნიერის მარგი ქმედების კოეფიციენტი?**

როგორც ჩანს, უწინარეს ყოვლისა უნდა დავუბრუნდეთ მეცნიერულ კვლევათა თემატიკის გადასინჯვას. ყოველი ნაშუშევარი უნდა იგეგმებოდეს არა იმდენად კონკრეტული პიროვნების . ინტერესებისათვის, არამედ საბოლოო შედეგების მიხედვით, რომლებიც ორგანულად არის დაკავშირებული რომელიმე აქტუალური, სოციალური, ეკონომიკური ან კულტურული პროგრამის გადაწყვეტასთან.

სწორედ ასეთი პროგრამულ-მიზნობრივი მიდგომა უნდა გამოვიჩინოთ, როცა ვხვეწთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ დაფძკიცებულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგის მეცნიერულ-კვლევითი საშუშაოების 1981—1985 წლების საკოორდინაციო გეგმას რესპუბლიკაში. ამ გეგმამ ხელი უნდა შეუწყოს აკადემიური, უმაღლესი სასწავლებლისა და დარგობრივი მეცნიერების მჭიდრო ურთიერთკავშირს, მეცადინეობის კონცენტრაციას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისათვის, იგი უნდა გახდეს ჩვენს რესპუბლიკაში საზოგადოებათმცოდნეობის განვითარების მართვის უმნიშვნელოვანესი ბერკეტი. ასეთ ამოცანას ეუსახავთ მეცნიერებათა აკადემიის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს, პარტიის ისტორიის ინსტიტუტს და, უწინარეს ყოვლისა, ცენტრალური კომიტეტის განყოფილებებს.

ივნისის პლენუმის მოთხოვნათა შესაბამისად კვლავაც უნდა ვიზრუნოთ ჰუმანიტარული პროფილის დაწესებულებებში მაღალი ზნეობრივი ატმოსფეროსათვის, ფართო განხილვისა და დისკუსიების ვითარების შექმნისათვის, საზოგადოებათმცოდნეთა შრომების რეცენზიების დროს ლიბერალიზმისა და უხერხემლობის ფაქტების აღმოფხვრისათვის.

უფრო ფართოდ უნდა გამოვიყენოთ შეძენილი დადებითი გამოცდილება. აქ, ამხანაგებო, ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, კერძოდ, მინდა ქმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ჩვენი მეცნიერი ისტორიკოსების ბორჯომის შეხვედრებმა აქტიურად შეუწყო ხელი მეცნიერულ გამოკვლევათა დონის ამაღლებას, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს საზოგადოებათმცოდნეთა სხვადასხვა რაზმს შორის ურთიერთგაგებისა და შემოქმედებითი თანამეგობრობის დამყარებაში. სწორედ ამ შეხვედრების შედეგი გახდა ქართველი, რუსი, აფხაზი, ოსი ისტორიკოსების მიერ შექმნილი მრავალი შრომა. სწორედ ასე, მეცნიერთა ერთობლივი მეცადინეობით უნდა გადაიჭრას ისტორიის და არა მარტო ისტორიის მეცნიერების რთული პრობლემები. ეს ჩვენი ფუძემდებელი პრინციპია, და იგი მკაცრად უნდა დავიცვათ. აქ ლაპარაკიც კი ზედმეტია რაიმე თვითნებურ გადაწყვეტაზე. ისტორიის მეცნიერებაში საბოლოო დასკვნებს საფუძვლად შეიძლება დაედოს და უნდა დაედოს კიდევ მხოლოდ უტყუარი ცნობები, ფაქტები, მოვლენები და დოკუმენტები.

ამრიგად, მეცნიერ-ისტორიკოსთა ყოველწლიური ბორჯომის შეხვედრების დაწყებიდან გასულა ხუთმა წელმა დამაჯერებლად დაადასტურა მათი უდავო ნაყოფიერება. ახლა განსაკუთრებით ცხადი გახდა იმათი აზრის უსაფუძვლობა, ვინც თავის დროზე ეწინააღმდეგებოდა ესოდენ სასარგებლო საქმის ორგანიზაციას.

ბორჯომის შეხვედრები წლითიწლობით სულ უფრო შინაარსიანი, ფორმით საინტერესო უნდა გახდეს. ამავე დროს სასურველია ბორჯომის შეხვედრების ანალოგიურად გაიმართოს ფილოსოფოსთა, ფსიქოლოგთა, ეკონომისტთა, სოციოლოგთა, სამართალმცოდნეთა, ლიტერატორთა — ყველა საზოგადოებრივი მეცნიერების წარმომადგენელთა დამოუკიდებელი შეხვედრები. ისინი შეიძლება მოეწყოს თბილისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, თელავში, რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში.

სხვათა შორის, ამგვარი შეხვედრები, შედეგების ყოველწლიური შეჯამება, როგორც ჩანს, საჭიროა მოვაწყოთ არა მარტო საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში. ჩვენ ეს-ეს არის ვილაპარაკეთ მედიცინაზე. რატომ არ უნდა შეაჯამონ ყოველწლიურად, ვთქვათ, ქირურგებმა, ამ მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლებმა თავიანთი საქმიანობის შედეგები? რატომ არ უნდა მოიქცნენ ასეევე პედაგოგები — პედაგოგიკას ხომ სავსებით პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რატომ არ უნდა მოიქცნენ ასე ბუნებისმეტყველება-ტექნიკის მეცნიერებათა წარმომადგენლები და სხვები?

ურთიერთმომთხოვნელობის, კეთილმოსურნეობის ვითარებაში პროფესიული საკითხების განხილვა ბევრ რამეს მოგვცემს. ვფიქრობთ, უნდა ვიპოვოთ ისეთი ორგანიზაციული ფორმები, რომლებიც დაგეგხმარება გამოვავლინოთ ჩვენი მეცნიერების სიღრმისეული ფენები, გავხადოთ მისი მიღწევები მთელი საზოგადოების კუთვნილება.

ასეთი მიდგომა, ასეთი შეხვედრები საშუალებას მოგვცემს ნამდვილად საქმიანად შეეჯაჯაოთ წლის მანძილზე ჩვენი საზოგადოებრივი მეცნიერებების განვითარების შედეგები და განვსაზღვროთ სამეცნიერო ამოცანები, დავაკონკრეტოთ ამ პროფილის სამეცნიერო დაწესებულებათა საქმიანობის პერსპექტივა, დაეხმარება პარტიულ კომიტეტებს დაუახლოვდნენ ჩვენი საზოგადოებათმცოდნეების ყველა რაზმს.

სწორედ ეს არის ცხოვრებასთან იდეოლოგიის დაახლოების რეალური გზა. საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარების პრობლემები ჩვენი პარტიული კომიტეტების ყურადღების ცენტრში უნდა იყოს.

და კიდევ ერთი რამ. უნდა დავუბრუნდეთ, თანაც დაუყოვნებლივ, საზოგადოებათმცოდნეთა კადრების მომზადებისა და გადამზადების საქმის ვითარებას. როგორც ჩანს, ჯერ კიდევ ყველგან როდი მოეკიდნენ სათანადო პასუხისმგებლობით სკკპ ცენტრალური კომიტეტის მითითებათა შესრულებას, რომლებსაც შეიცავს ამ საკითხის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი დადგენილება.

III.

ივნისის პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომუნისტებისა აღზრდის უარყვეი საფუძველია მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. განსაზღვრა რა საბჭოთა ადამიანების იდეურ-თეორიული წრთობის ამოცანები, ი. ვ. ანდროპოვმა პლენუმზე ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამაში დიდი როლი უნდა შეასრულოს ჩვენი პოლიტიკური განათლების, მასობრივი პოლიტიკური სწავლების ქსელის მუშაობის სტილის შეცვლამ. უწინარეს ყოვლისა, ბოლო უნდა მოვუღოთ ფორმალიზმს, ამა თუ იმ საერთო დებულებათა მექანიკურ, ცხოვრებას მოწყვეტილ გაზეპირებას.

ამ მოთხოვნათა გათვალისწინებით, სერიოზულად უნდა **გარდავქმნათ მარქსისტულ-ლენინური განათლების სისტემის მუშაობა, ამასთან დავეყრდნოთ შეძენილ გამოცდილებას. ხაზს ვუსვამ — ჩვენ უნდა გარდავქმნათ ეს მუშაობა.**

დადებითი გამოცდილება ჩვენ გვაქვს. პარტიული კომიტეტები და ორგანიზაციები ბევრ რამეს აკეთებენ რესპუბლიკის ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებთან თეორიული სწავლების დაახლოებისათვის. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით სასარგებლოა ცენტრალური კომიტეტის, მისი ბიუროს წევრების, რესპუბლიკის სამინისტროთა, უწყებათა ხელმძღვანელების პროპაგანდისტებად მუშაობა შრომითს კოლექტივებში შექმნილ სკოლებსა და სემინარებზე.

ამასთან ამ მუშაობაში კიდევ ბევრი ფორმალიზმია.

არცთუ დიდი ხნის წინათ ცენტრალურმა კომიტეტმა მოისმინა ერთ-ერთი საუკეთესო პროპაგანდისტის, მეცნიერული კომუნიზმის სკოლის ხელმძღვანელის, თბილისის სკკ კავშირის 50 წლისთავის სახელობის საწარმოო გაერთიანების მთავარი ინჟინრის ამხანაგ დ. გ. ოკრიბელაშვილის ანგარიში. საუბარი საინტერესო, საქმიანი და კონკრეტული იყო. განხილვამ გამოავლინა ბევრი მტკივნეული საკითხი, ნაკლოვანებანი მთელისა მასობრივ-პოლიტიკურ სწავლებაში, პროპაგანდისტთა აქტივთან აღმზრდელობითს მუშაობაში. ვგონებ, სასარგებლოა ასეთი ანგარიშების მოსმენა ხაზინგოს ყველა პარტიული კომიტეტის მუშაობის პრაქტიკაში. ამის აუცილებლობას გვიკარნახებს პარტიის ზოგიერთი საქალაქო და რაიონული კომიტეტის მხრივ საქმისადმი ზედაპირული მიდგომის ფაქტები. სხვა ვერაფრით ვერ ახსნი, რომ, მაგალითად, გურჯაანის რაიონში მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებულ მშრომელთ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

(მაგრძელება)

უნდა ვთქვათ, რომ უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვანი დადებითი ცვლილებები მოხდა გაზეთ „თბილისის“ რედაქციის მუშაობაში. მისი მაგალითი ერთხელ კიდევ მოწმობს, რომ ადგილობრივ პრესას ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, შეუძლია სერიოზულად დაეხმაროს პარტიას მწვავე და რთული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტაში. ოღონდ შეიძლება ითქვას გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის“ შესახებაც.

ამასთან, ამხანაგებო, ბევრი გადასაჭრელი პრობლემაც გვაქვს. როგორც ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე, ყოველი პუბლიკაცია, **ყოველი გამოსვლა უნდა იტაკიცხდეს, არწმუნებდეს ადამიანებს ცხოვრების ღრმა წვდომით და პრინციპულობით, მახვილი აზრითა და მკაფიო სტილით.**

მოდით, გულახდილად ვთქვათ, განა ჩვენი ჟურნალისტების ბევრი მასალა აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს? რაოდენ ხშირად ჭარბობს მათში ფაქტების, მოვლენების კონსტატაცია მათი ჯეროვანი გააზრების, მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ანალიზის, შესაბამისი დასკვნებისა და ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტის გზების ძიების გარეშე. ზოგჯერ ჩვენს ჟურნალისტებს აკლიათ სიფაქიზე, პოლიტიკური ალღო ამა თუ იმ ფაქტის გაშუქებაში.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს როლი, რომელიც ჩვენს პრესას, ტელევიზიას და რადიოს აკისრიათ პროპაგანდა-აგიტაციის პროცესის სრულყოფაში. თეორიული პროპაგანდის, იდეოლოგიური მუშაობის, მასების პოლიტიკური და ეკონომიკური განათლების, ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მოწინავე გამოცდილების განალიზება-განზოგადებისადმი ჯეროვანი ყურადღებას უქონლობა დიდად მძიმრებს პარტიის იდეოლოგიური არსებალის ქმედითობას.

მწირი და ტრაფარეტულია მოწინავე გამოცდილების პროპაგანდის ფორმები, და, მაშასადამე, მისი დანერგვა-გავრცელება, ეს უკანასკნელი კი პირდაპირ შეუძლებელია მასობრივი ინფორმაციის ორგანოების ბრძოლ ქმედითი დახმარების გარეშე.

შეშფოთებას იწვევს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თემატიკური მიმართულების ერთგვარი ცალმხრივობაც. მაგალითად, მართალია, არა პრესის ყველა ორგანოში, ჩვენში ურიგოდ როდი აშუქებენ ომმეჯირნეობისა და ყაირათიანობის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის ბრძოლის პრობლემებს, ამასთანავე მოისუსტებს ისეთი აქტუალური საკითხების დამუშავება, რომელიც არის მომსახურების სფეროს მუშაობის გაუმჯობესება, ბრძოლა მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ, შრომითი კოლექტივის თვისებრივად ახალი სოციალური ფუნქციების გაზრდა.

ეს და სხვა ამოცანები მჭიდროდ უკავშირდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაობის დაგეგმვის პრაქტიკას. კამპანიურობის ფაქტები, შემთხვევითი პუბლიკაციები უწონარეს ყოვლისა სწორედ ამ დარგში არსებული ნაკლოვანებებით აიხსნება.

გამოსვლების ქმედითობა ასევე მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული ჟურნალისტთა უნარზე — არა მარტო აღძრან ფართო საზოგადოებრივი ყურადღების პრობლემა, არამედ ბოლომდეც მიიყვანონ დაწყებული საქმე, არ გადაუხვიონ თავიანთ გზს, როგორც ვიტყვით ხოლმე, საბოლოო შედეგების მიღწევამდე. არადა, სწორედ ეს აკლიათ ჩვენს ამხანაგებს. უფინარეს ყოვლისა ეს ეხება საპრობლემო, კრიტიკულ პუბლიკაციებს.

ამას წინათ ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ხელმძღვანელ მოვიისმინეთ ამხანაგ გ. ვ. ბედინეიშვილის ანგარიში. გამოირკვა, რომ 1982 წელს გაზეთ „კომუნისტის“ 199 კრიტიკული გამოსვლიდან 102 გამოსვლაზე რეაგირება არ ყოფილა. რა თქმა უნდა, ცენტრალური კომიტეტი მკაცრად მოპკითხავს უწყებათაშორისო, ადგილობრივ ორგანიზაციათა იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც ესოდენ უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ცენტრალური კომიტეტის ორგანოს კრიტიკულ გამოსვლებს. სხვათა შორის, ცენტრალური პრესის ბევრი პუბლიკაციაც კი ჯეროვანი რეაგირების გარეშე რჩება.

მაგრამ თვით გაზეთების ორგანიზატორულ როლსაც ხომ ყოველი ღონისძიებით უნდა ვამაღლებდეთ, და მასობრივი ინფორმაციის ორგანოების ავტორიტეტი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად მაღალია ეს როლი. ეს ლენინის მოთხოვნაა, და თქვენ ყველას კარგად გახსოვთ იგი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ აჩქარების, ზერელობის, ზოგჯერ პოლიტიკური შეუფასებლობის ელემენტები შეიმჩნევა ჩვენი სინამდვილის ზოგიერთი ფაქტისა და მოვლენის გაშუქებაში, რაც ხშირად არაჯანსაღ რეზონანსს იწვევს. ასეთი შემთხვევები უნდა აღიკვეთოს როგორც მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, ისე წიგნის გამომცემლობების მუშაობაში. ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე არაერთგზის გვქონია სერიოზული სჯა-ბაასი ამ საკითხთა გამო.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დაისახა საუწყვეტო ჟურნალების სამძიანობის გაუმჯობესების ამოცანები. აქაც ბევრი პრობლემა გვაქვს გადასაჭრელი. მთელი რიგი სამინისტროები, უწყებები, მათი კოლეგიები, პრაქტიკულად არ ხელმძღვანელობენ თავიანთ გამოცემებს, ჯეროვნად არ აფასებენ მათ როლს დარგის მართვაში. უფრო საგნობრივად უნდა ვუძღვებოდეთ საუწყვეტო პრესის მუშაობას ცენტრალური კომიტეტის აპარატში, კერძოდ, დარგობრივ განყოფილებებში, რომელთა უშუალო კომპეტენციაა წარმართონ, შეაფასონ ეს მუშაობა, დაუსახონ გადასაჭრელი პრობლემები.

დღეს მწვავედ დგას ჟურნალისტთა კადრების საკითხი, რომელთა კომპეტენტურობაზე, პროფესიულ ოსტატობაზე, სახალხო მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის დარგების მიხედვით სპეციალიზაციაზე დამოკიდებულია პრესის ქმედითობა. ცენტრალური კომიტეტის ბიუროს მიიღო გადაწყვეტილებანი ჟურნალისტთა, განსაკუთრებით ჟურნალისტიკის ფაკულტეტმა და ხელმძღვანელობამ, მაგრამ რეალური პრაქტიკული ნაყოფი ჯერ არ იგრძნობა.

პარტიული კომიტეტების სერიოზულ ყურადღებას ვოოთხოვს რაიონული და მრავალტირაჟიანი პრესის პრობლემები. ასეთი გამოცემანი ჩვენში ათობით არის — ყოველ ქალაქში, ყოველ რაიონში. და აქ მარტო ის კი არ არის საქმე, რომ აკლიათ კადრები, არ არის საკმარისი მათი პროფესიული დონე და სუსტია პოლიგრაფიული ბაზა, არამედ ისიც, რომ ბევრ პარტიულ კომიტეტს საჭირო კალაპოტით ვერ წარუმართავს თავისი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოების საქმიანობა, არ ზრუნავს მათი ავტორიტეტისათვის.

ახლახან გავეცანით ზოგიერთი რაიონის გაზეთებს და, სამწუხაროდ, ვერ აღმოვაჩინეთ ვერც ერთი საინტერესო ცნობა, ვერც ერთი საინტერესო პუბლიკაცია, ვერც ერთი კრიტიკული შენიშვნა, რომელიც შეეხებოდა კონკრეტულ ხელმძღვანელს, კონკრეტულ ადამიანს. მაშასადამე, ვიმეორებ, პარტიული კომიტეტები ცუდად უძღვებიან ადგილობრივ პრესას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებაში დიდი ხანია აპირებენ გარდაქმნან რაიონული გაზეთების მუშაობა, რათა უფრო რაიონულად შეუხამონ იდეურ-მიზნობრივი მიმართულება მათს მოცულობასა და პერიოდულობას. ეტყობა, საჭიროა დაჩქარდეს რაიონული გაზეთების ოპტიმალური „სახის“ ძიება. უფრო თამამად მივმართოთ ექსპერიმენტებს.

რამდენიმე სიტყვას მოგახსენებთ წიგნის გამოცემის საქმის მდგომარეობის გამო. მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო ორი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა არაერთი დადგენილება მიიღო გამსახკომის საქმიანობის ყველა მიმართულების შესახებ, მისი გარდაქმნის ტემპი აშკარად ვერ არის საკმარისი. რა თქმა უნდა, შეგვეძლო მოგვემზადებინა ობიექტური სიძნელენი, კერძოდ, რომ მოძველებულია პოლიგრაფიული ბაზა, გვაკლია ქაღალდი, კვალიფიციური კადრები... ამ და ბევრ სხვა პრობლემას დღეს ვწყვეტთ საკავშირო გამსახკომის დახმარებით. და მაინც, უფრო ღრმად უნდა გაეერკვეთ სუბიექტურ მიზეზებში და თანდათანობით დავძლიოთ ეს ნაკლოვანებანი.

ჩვენ შეგისწავლეთ წიგნის გამოცემის რენტაბელობის, დაგეგმვის სრულყოფის საკითხები და, ითქვას, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის ოპტიმალური გზებიც შეგიმუშავეთ. უკვე დროა, რეალურ ძვრებს მოველოდეთ. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული პრობლემების **ფონზე ძალზე გვაფიქრებს ის, რომ გრძელდება** ნაკლებად აქტუალური, ზშირად შემთხვევითი წიგნების გამოშვება, დარღვევებია საგეგმო დისციპლინასა და სპონორარო პოლიტიკაში. არადა, პირდაპირ საერთოდ გვეჭირდება მხატვრული თუ საცნობარო ლიტერატურა, სამეცნიერო სახალეშო წიგნები თუ დამხმარე სასწავლო სახელმძღვანელოები და ა. შ.

აშკარაა, რომ საჭიროა განხორციელდეს სარედაქტორო-საგამომცემლო პროცესის ძირეული გარდაქმნა, გაძლიერდეს გამომცემლობების ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა, ამაღლდეს რედაქტორთა შემადგენლობის, საკონტროლო სამსახურების იდეურ-პოლიტიკური და პროფესიული კომპეტენტურობა. გაცილებით უფრო სერიოზულ მიდგომას მოითხოვს წიგნის პროდუქციის პოლიგრაფიული გაფორმების ხარისხი.

კვლავ არსებითი ნაკლოვანებანია წიგნის ვაჭრობის ორგანიზაციაში, წიგნის პროპაგანდაში.

V.

მთელ ჩვენს იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობაში ნიადაგ უნდა ვითვალისწინებდეთ იმას, რომ სულ უფრო იზრდება სულიერი კულტურის როლი ჩვენი საზოგადოების ცხოვრებაში.

იდეოლოგიური მუშაობის ეფექტიანობა და, მაშასადამე, მშრომელთა სულიერი ჩამოყალიბებაც დიდად არის დამოკიდებული ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების დონეზე, იმაზე, თუ რამდენად მტკიცეა მათი კავშირი ხალხის ცხოვრებასთან, რამდენად ასახავენ ისინი თანამედროვეობის აქტუალურ პრობლემებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენში დადებითი ძვრები მოხდა ხალხის სულიერ ცხოვრებაში, რაც არაერთგზის აღგვინიშნავს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებათა მიხედვით განსაკუთრებით ცხადად ჩანს, რომ ლენინურ მოძღვრებას ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიულობის, ხალხურობის შესახებ, შემოქმედი ინტელიგენციის, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებისადმი დამოკიდებულების ლენინურ პრინციპებს ახლებური, განსაკუთრებული აზრი ენიჭება.

მზრუნველი, ფაქიზი დამოკიდებულება ტალანტისადმი, მისი მხარდაჭერა უთუოდ უნდა ეხმარებოდეს ტალანტს სწორ და მიზანმიმართულ ორიენტაციას, რათა ხელოვანს გაცნობიერებული ჰქონდეს თავისი წილნაყარობა დროების ამოცანებთან, პარტიისა და ხალხის ინტერესებთან. ხელოვნება არ უნდა ჩამორჩებოდეს ობიექტურ მოთხოვნებს, რომლებსაც აყენებს ცხოვრება, განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების სრულყოფის თანამედროვე ეტაპი. **ხელოვნება მოწოდებულია იდეურად, პოლიტიკურად, ზნეობრივად ზრდიდეს ადამიანებს, უნერგავდეს მათ პატრიოტიზმის, მუშანურობის, ჰუმანიტარ ინტერნაციონალიზმის მაღალ იდეებს.**

საბჭოთა საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარების თანამედროვე ეტაპის თემატიკისა და პრობლემატიკის დამახასიათებელი თავისებურებაა შრომის თემის მჭიდრო კავშირი ეთიკურ, ზნეობრივ პრობლემებთან, პიროვნების სიცოცხლის აზრის, საზოგადოების ცხოვრებაში მისი ადგილისა და დანიშნულების, უზენაესი სულიერი ღირებულებების, თანამედროვეობის საკაცობრიო პრობლემებისადმი მისი დამოკიდებულების საკითხებთან.

სწორედ ამან უზრუნველყო საქართველოს ხელოვნებისადმი ინტერესის გაცხოველება მთელ ჩვენს ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ ეს წარმატებანი, ამხანაგებო, უნდა გავამტკიცოთ. ჩვენი ლიტერატურის, ჩვენი ხელოვნების მოღვაწეებს მაროვნი უფრო ღრმად და თამამად სწვდებოდნენ ცხოვრებას, იყვნენ მისი აქტიური მონაწილეები და მკვლევარები. საიდუმლო როდია, რომ ხშირად იბეჭდება ზერელე ნაწარმოებები, რომლებიც ცხოვრების ცოდნის მხოლოდ მოჩვენებითობას ქმნიან. ხელოვნების კრიტიკული პათოსი უნაყოფოა, თუ არ ეგრძნობა აღძრული პრობლემის ღრმა გაგება, გულისტკივილი ჩვენს ცხოვრებაში ჯერ დაუძლეველი სიძნელეების გამო.

როცა მაღალ მოთხოვნას ვუყენებთ ხელოვნებისა და ლიტერატურის მოღვაწეებს, ნიადაგ უნდა ვზრუნავდეთ მათდამი რეალურ, პრაქტიკულ დახმარებაზეც. ჩვენ ყველას მეტი მზრუნველობა გვმართებს ახალგაზრდათა ცხოვრებისა და შემოქმედების პირობების გაუმჯობესებისათვის. ჩვენ ვეძებთ და ყოველი ღონისძიებით ვუჭერთ მხარს ახალგაზრდა შემოქმედი ინტელიგენციის იმ ნიჭიერ წარმომადგენლებს, რომლებიც ცდილობენ მხარში გვედგნენ წინსვლა-განვითარებაში, კრიტიკულად იაზრებენ არსებულ ნაკლოვანებებს და ეძებენ მათი დაძლევის გზებს.

ვისახავთ რა მიზნად ვაზიარეთ შემოქმედი ახალგაზრდობა თანამედროვე პრობლემატიკას, ამავე დროს გვმართებს ვაწარმოოთ ბრძოლა კონიუნქტურის წინააღმდეგ, როცა აქტუალობის ალმით ნიღბავენ უმწიფარ ნამუშევართა ხელოვნების ნაწარმოებად გასაღების ცდებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო კრიტიკის პრობლემებს. რა დასაშალია, და, ჩვენში კრიტიკა ჯერ კიდევ ვერ დგას სათანადო დონეზე, თუმცა შეიმჩნევა ერთგვარი გამოცოცხლება. ზშირად იგი გვერდს უვლის ხოლმე იდეურად სუსტ ნაწარმოებებს, არ აძლევს ზუსტ პარტიულ შეფასებას ნამუშევრებს, არ მიუთითებს ავტორს დაშვებულ ხარვეზებზე. შემოქმედებითი კავშირები, ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე გამომავალი ჟურნალების რედაქციები ყოველნაირად უნდა უწყობდნენ ხელს ჩვენი მხატვრული ლიტერატურის კრიტიკის პროფესიული და იდეური დონის ძირეულ ამაღლებას.

დღეს საქმე უნდა ეხებოდეს ადამიანთა გულსა და გონებაზე ლიტერატურის და ხელოვნების ზემოქმედების გაძლიერებას, ფორმით ეროვნული, შინაარსით სოციალისტური, თავისი ხასიათითა და მიმართულებით ინტერნაციონალისტური საბჭოთა ხელოვნების უდიდესი იდეურ-აღმზრდელობითი პოტენციალის უფრო სრულ რეალიზაციას.

სამწუხაროდ, დღეს ვერ მოვახერხეთ უფრო კონკრეტულად, უფრო საგნობრივად გვესაუბრა ჩვენი თანამედროვე ლიტერატურისა და ხელოვნების პრობლემებზე. არადა, ბევრი საინტერესო საკითხი დაგვგროვდა, არის სერიოზული ნაკლოვანებანიც, დიდი რეზერვებიც.

მგონია, რომ რეზერვები უფინარეს ყოვლისა არის ჩვენი შემოქმედებითი კავშირების ორგანიზატორულ მუშაობაში. აქ მართლაც ბევრი რამის გაკეთება შეიძლება. ჩვენ უფლება არა გვაქვს უყურადღებოდ, ჩვენი გავლენის გარეშე დავტოვოთ თუნდაც ერთი შემოქმედებითი მუშაკი — ეს ისეთივე კონკრეტული მუშაობაა, როგორც ყოველდღიური პარტიული საქმიანობა. მაგრამ ძალიან ხშირად, როცა ჩვენ კონკრეტულად არ ვმოქმედობთ, უცაბ აღმოვაჩენთ, რომ მსოფლმხედველობა ადამიანს, ისე არ ჩამოუყალიბდა, როგორც ჩვენ გვინდოდა, და რაიმეს გამოსწორება უკვე ჭირს.

ამიტომ ჩვენ შემოქმედებითი ინტელიგენციის მონაწილეობით უნდა განვაზოგადოთ შეძენილი გამოცდილება და უფრო კონკრეტულად, უფრო საგნობრივად განვსაზღვროთ რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ამოცანები ამ მიმართულებით.

VI.

ივნისის პლენუმმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამოცანებს. ახალგაზრდის პიროვნების ჩამოყალიბებაში უპირველესი როლი ეკუთვნის საზოგადოებრივი დისციპლინების სწავლებას, რასაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაპყროთ. არადა, როგორც რესპუბლიკის 18 უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებმა გვიჩვენა, ყოველი მეოთხე სტუდენტის აზრით, საზოგადოებრივ დისციპლინებში მეცადინეობა მათ არ აძლევს ახალ ინფორმაციას. თითქმის ყოველმა მეორემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის გამო, რომ ლექტორები გაურბიან მწვავე საკითხების გულახდილ განხილვას, ან მათი პასუხი ასეთ შეკითხვებზე მოკლებულია სისრულეს და დამაჯერებლობას.

ცხოვრება დინამიკურია. იგი მრავალ ისეთ პრობლემას აყენებს, რომელსაც ყოველთვის ვერ უპასუხებს სახელმძღვანელოს მიხედვით. მაგრამ ეს საკითხები არის და მათ ვერსად გაექცევი. უნდა ვეძებოთ პასუხი, უნდა ავუწყოთ ფეხი დროს. ახალგაზრდისათვის უაღრესად საინტერესო შეკითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემისაგან თავის არიდებამ შეიძლება ეჭვები წარმოშვას ახალგაზრდის შეგნებაში. რით შეიცავება შემდეგ ცოდნაში დარჩენილი ხარვეზი — აი, რას უნდა დაუფიქრდნენ, ამხანაგებო, საზოგადოებათმცოდნე მასწავლებლები. საჭიროა პარტიული კომიტეტების, რესპუბლიკის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების და განათლების სამინისტროების, პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის, აკადემიის ინსტიტუტების, სასწავლებლების, კათედრების ხელმძღვანელთა ძალისხმევის მაქსიმალური კონცენტრაცია, რათა უახლოეს ხანს მივაღწიოთ გადამწყვეტ ძვრებს ახალგაზრდობის კომუნისტური აღზრდის ამ უმნიშვნელოვანეს უბანზე.

და აქაც არის, ალბათ, დადებითი გამოცდილება. მაგრამ ვინ დაგვისახელებს ლექტორს, საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებელს, რომელიც სანიმუშოდ უძღვებოდეს მეცადინეობას, პოპულარული იყოს, ყველა კითხვაზე იძლეოდეს პასუხს? თუ საშუალო სკოლებში ვეძებთ და ვპოულობთ მასწავლებლებს, რომლებიც სანიმუშონი არიან, პოლიტიკური განათლების დარგზე ამას ვერ ვიტყვით, მოწინავეთა გამოცდილებას ვერ ვაზოგადებთ. ესეც ჩვენი რეზერვია.

ცნობილია, რომ ახალგაზრდის იდეური წრთობა, პოლიტიკური სამწყოფე შეუძლებელია, თუ იგი აქტიურად არ ვაზიარეთ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას. მტკიცედ უნდა ვაღარებდეთ იმ კურსს, ხაზგასმით აღინიშნა პლენუმზე ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა, რომ მოსწავლე შეეგაჩვიოთ სასარგებლო შრომას, შეეაყაროთ იგი. და ეს შეიძლება იყოს შრომა ფიზიკური თუ გონებრივი, ოღონდ უთუოდ შრომა — ნაყოფიერი, საზოგადოებისათვის საჭირო.

ის, რაც ჩვენს სკოლას შეუძენია შრომითი აღზრდის დარგში, არადა, მას საგულისხმო გამოცდილება აქვს შეძენილი, უფრო რაციონალურად, ეფექტიანად, სრული უკუგებით უნდა გამოვიყენოთ. ამ საქმეში კი ჯერაც ბევრი გადაუჭრელი პრობლემა გვაქვს. საუკეთესო სკოლებშიც კი, სადაც, ეფექტივნ, რიგიანად არის დაყენებული შრომითი სწავლება, კურსდამთავრებულთა მხოლოდ ნახევარი იწყებს მუშაობას ან განაგრძობს სწავლას სასკოლო შრომითი სწავლების პროფილით. ეს, როგორც ჩანს, მოწმობს, რომ აშკარად ვერ არის საკმარისი შრომის მასწავლებელთა პროფესიული და პედაგოგიური კვალიფიკაციის დონე. ცუდად გვაქვს მოსწავლე ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის საქმე. სასწავლო-საწარმოო კომბინატების ქსელის განვითარებისა და სასწავლო სახელოსნოების შექმნის მხრივ რესპუბლიკას ქვეყანაში მე-13-14 ადგილი უკავია. და ჩვენ — პარტიული, ადგილობრივი სამეურნეო ხელმძღვანელები ვერსად გვექცევით ამისთვის პასუხისმგებლობას.

უკეთ არც პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში გვაქვს საქმე: ქალაქის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში საწარმოო სწავლების საშუალებებზე არსებული მოთხოვნილება უზრუნველყოფილია მხოლოდ 45 პროცენტით, ხოლო სოფლის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ტრაქტორ-კომბაინებით აღჭურვის მხრივ რესპუბლიკას ყველაზე ცუდი მაჩვენებელი აქვს ქვეყანაში. ეს მოწმობს, რომ ჩვენი პარტიული, სამეურნეო მუშაკები არ ფიქრობენ ზვალინდელ დღეზე, ჩვენი კოლმეურნე გლეხობის ცვლაზე.

კვლავინდებურად რთულად დგას პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა წარმოებაში დამკვიდრების პრობლემა. მაგალითად, 1982 წელს 38 ათასი კურსდამთავრებულიდან 11 ათასი წარმოებაში არ დარჩენილა. ჯერ კიდევ სუსტად ინერგება ლენინგრადელთა და სვერდლოვსკელთა გამოცდილება ახალგაზრდა მუშათა კადრების პერსონალური განაწილებისა და დამკვიდრების საქმეში. თუ გავითვალისწინებთ, რომ 1990 წლის დამლევამდე შრომითი რესურსების დეფიციტის პირობებში ჩვენ ყოველწლიურად გვჭირდება 110 ათასზე მეტი კვალიფიციური მუშის მომზადება, მაშინ ცხადი ხდება, თუ როდეს მწვავე და აქტუალური ყოფილა ეს პრობლემა.

რესპუბლიკაში დიდ მუშაობას ვეწევით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდისათვის. შექმნილია საკმაოდ ეფექტიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული ორგანოების, სამხედრო კომისარიატების, ჯარის ნაწილებისა და ქვედანაყოფების, სასწავლებლების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების ძალისხმევის კოორდინაციას. დაისახა გასაწევეთა კონტინგენტის თვისებრივი ზრდა, გაიზარდა სამხედრო სასწავლებლებში შემსვლელთა შორის რესპუბლიკის წარმომადგენელთა რიცხვი. მთელ მუშაობაში პარტიულ ორგანოებს მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქისა და წითელდროშოვანი სასაზღვრო ოლქის სარდლობა და პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

მაგრამ მსოფლიოში შექმნილი თანამედროვე ვითარება მოითხოვს გაავძლიეროთ ახალგაზრდობის პოლიტიკური სიფხიზლის, იდეურ-ზნეობრივი სიმტკიცის გამომუშავება, მისი ფიზიკური წრთობა და სამხედრო მომზადება.

მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მოზარდი თაობის ჯანმრთელობის გაკაჟებას. ჩვენ ძალზე გვაფიქრებს ის გარემოება, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა 20 პროცენტს სუსტი ჯანმრთელობა აქვს, მოსწავლეთა და სტუდენტთა ნახევარზე მეტმა არ იცის ცურვა, რომ სკოლებთან ჩამოყალიბებულ სპორტულ სექციებში გაერთიანებულია მოსწავლეთა მხოლოდ 30 პროცენტი. ახალგაზრდობა არ იჩენს დიდ ხალისს ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის, ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა ბავშვთა და ჭაბუკთა სპორტის განვითარებას. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ჩვენი წარუმატებელი გამოსვლები დიდ სპორტში, ჩავარდნები სპორტაკიადებსა და საკავშირო შეჯიბრებებში. ყოველივე ეს წინათ დაშვებული შეცდომების შედეგია, მაგრამ ის, რაც ხარვეზად დაგვრჩა წარსულისაგან, უფრო ოპერატიულად და კომპეტენტურად უნდა გამოვასწოროთ ახლა. ჩვენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ახალი ხელმძღვანელობისაგან, და არა მარტო მისგან, მოველით მუშაობის უფრო მტკიცე გარდაქმნას, უფრო აქტიურ და პრინციპულ პოზიციას ფიზიკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების მომწიფებული პრობლემების გადაჭრაშიც.

მოგახსენებთ კიდევ ერთის — ოჯახური აღზრდის პრობლემების შესახებ, ახალგაზრდა თაობის პოლიტიკურ და იდეურ-ზნეობრივ ჩამოყალიბებაში მშობლების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლების შესახებ. ოჯახური აღზრდის შეცდომები ძნელად გამოსასწორებელია, და ისინი ზშირად ხდება ხოლმე ახალგაზრდობას შორის ზნეობრივი ანომალიების მიზეზი. ზოგიერთი მშობელი შვილს ზრდის სათბურის პირობებში და უღვივებს სხვისი მოიმედობის განწყობილებას. ინდივიდუალიზმს, უგუნურ მოთხოვნილებებს, რითაც არსებითად ვნებს როგორც საკუთარ შვილს, ისე მთელ ჩვენს საზოგადოებას.

ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იპყრობს ქალაქ თბილისის ლენინის რაიონისა და ზესტაფონის რაიონის გამოცდილება არიელ ოჯახებში, ძნელად აღსაზრდელ ყმაწვილებთან ადიერ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციის, თავიანთი შვილების ზნეობრივ-პოლიტიკური სახისათვის შრომითი კოლექტივების წევრთა პერსონალური პასუხისმგებლობის ამაღლების, შობლებთან მუშაობის ორგანიზაციის საქმეში.

უკანასკნელ ხანს მნიშვნელოვნად შეიცვალა ჩვენი ახალგაზრდობის სოციალური სახე, შეიცვალა ცხოვრების პირობებიც, წარმოიშვა ახალი პრობლემები, ახალი ამოცანები, რომლებიც უაღრესად დიდ ყურადღებას მოითხოვს. როგორც ჩანს, ჩვენ მოგვიწევს საფუძვლიანად განვიხილოთ ისინი ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ პლენუმზე, სანამ საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობა გაიმართებოდეს.

VII.

რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციათა იდეოლოგიური საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ბრძოლა კერძომესაკუთრული ტენდენციებისა და წარსულის მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ, ახალი სოციალისტური ტრადიციების და წეს-ჩვეულებების დამკვიდრება მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში. სწორედ ამას გვისახავს მიზნად სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც ჩვენ წინაშე დააყენა ამოცანა — **უნარიანად და შემოქმედებითად გავუწიოთ პროპაგანდა საბჭოთა ცხოვრების წესს. სოციალიზმის ფუნდამენტურ ღირებულებებს.**

ათი წლის მანძილზე რესპუბლიკაში ბევრი რამ გაკეთდა ანტისაზოგადოებრივი მოვლენების დასაძლევად. შეძენილია გარკვეული დადებითი გამოცდილება. ისე უნდა მოვიქცეთ, რომ კერძომესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლა ატარებდეს კომპლექსურ ხასიათს, წარმოებდეს ფართო ფრონტით, სადაც ერთმანეთთან იქნება შეხამებული ეკონომიკური, სოციალური, ორგანიზაციული, იდეურ-აღმზრდელობითი ღონისძიებების სისტემები და მკაცრი ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომები.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ იქ, სადაც იცავენ ამ პრინციპს, რეალური ძვრებია მიღწეული „მომაბეზრებლის“, მოქთახორობის, ცალკეულ სახეობათა დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასეთ მიდგომას უნდა ვხედავდეთ არა მარტო მართვის რეგიონული ორგანოების საქმიანობაში, არამედ აგრეთვე ჩვენი სამინისტროების, უწყებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის პრაქტიკაში.

მუშტრული ფსიქოლოგია მნიშვნელოვანწილად არის გამოწვეული ჩვენი იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ნაკლოვანებებით. როცა მოხმარების გონივრული კულტურის ჩანერგვაზე ვლაპარაკობთ, უნდა ვგულისხმობდეთ არა მარტო ბრძოლას კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიის მატარებლების, „ნივთმონობის“, მომხვეჭელობის, უშრომელი შემოსავლის მოტრფიალეთა წინააღმდეგ. ამოცანა, ამხანაგებო, უფრო ფართოდ დგას — მოხმარების მაღალი კულტურა უნდა გახდეს სოციალისტური ცხოვრების წესის განუყოფელი ნაწილი.

მაგრამ ამასთანავე მუდამ უნდა გვახსოვდეს, — ეს სრულიად პრინციპული საკითხია, რომ გონივრული მოთხოვნილების კულტურაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანები უზრუნველყოფილი არიან ყოველივე საჭიროთი. ამიტომ ჩვენს უპირველეს ამოცანად უნდა ვრაცხდეთ იმას, რომ ხალხს შევუქმნათ მაქსიმალური მატერიალური დოვლათი. ამასთან დაკავშირებით დგება საზოგადოებრივი სიმდიდრისადმი მზრუნველი, ყაირათიანი დამოკიდებულების პრობლემა.

მახსოვს, შარშან ოქტომბერში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გამოსვლისას ჰიგიენის, შრომისა და პროფესიულ დაავადებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ამხ. ვ. ი. ვაშაკიძე ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ ადამიანებს უსათუოდ უნდა გამოვუმუშაოთ კვების კულტურა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი და როული საკითხია, თუმცა მაშინ ზოგიერთებმა იგი ერთგვარი ირონიით აღიქვეს. არადა, რაციონალური კვების პრობლემა ჩვენში მწვავედ დგას, და მისი ახსნა-განმარტება უნდა ვაწარმოოთ სისტემატურად, უწარიანად, დამაჯერებლად, ვინაიდან იგი დაკავშირებულია სასურსათო პროგრამის ბედთან, ადამიანთა ფიზიკური და ზნეობრივი ჯანმრთელობისათვის ბრძოლასთან. აქვე მინდა გავიხსენო ჩვენებური სუფრის კულტურა, რომელსაც მდიდარი ტრადიციები აქვს. ჩვენმა თანამედროვე ადამიანებმა უნდა შეინარჩუნონ ყოველივე კარგი და ლამაზი ამ ტრადიციებში და გააწყონ უმტკიცესი ბრძოლა ყოველგვარი ზედმეტობის წინააღმდეგ, რომელიც აუკუღმართებს შესანიშნავ ხალხურ ადათ-წესებს.

საქონელი, ნივთები იმისათვისაა, რ

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმი

(დასასრული)

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ვთქვით, რომ ჩვენში შემუშავებული რესპუბლიკაში რუსული ენის შესწავლის კომპლექსური, ნამდვილად მეცნიერული პროგრამა, რომელიც შესანიშნავ შედეგებს იძლევა.

დიდი რუსი ხალხის ენის ცოდნა ხელს უწყობს მეცნიერული პოტენციალის ამაღლებას, თითოეული ერისა და ეროვნების ზოგადკულტურული თვალსაწიერის გაფართოებას. პარტია დაინტერესებულია იმით, რომ ადამიანები ფლობდნენ რუსულ ენას. ასევე პარტია დაინტერესებულია მშობლიური ენების განვითარებით, სრულყოფით. ამ დებულების პრაქტიკულ განხორციელებაში არ არის და არც შეიძლება იყოს რაიმე წინააღმდეგობა. სხვათა შორის, მეცნიერებამ დამტკიცა, რომ ადამიანს, რომელიც თანაბრად ფლობს ორ ენას, შემეცნების, აზროვნების, შეგნების ჩამოყალიბების პროცესის სტიმულირების გაცილებით მეტი შესაძლებლობანი აქვს. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ჩვენ მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს ქართული, აფხაზური, ოსური, სომხური, აზერბაიჯანული ენების სწავლების სრულყოფის შესახებ. აი უკვე ორი წელია, რაც ბერძნული ეროვნების 1500 მოსწავლისათვის რესპუბლიკის 46 სკოლაში შემოღებულია ახალი ბერძნული ენის სწავლება. ასეთივე ღონისძიებანი განხორციელდა ქურთი ახალგაზრდების მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1973 წლის ივლისში მიღებულ დადგენილებაში რესპუბლიკის სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების გაუმჯობესების საკითხებზე, ნათქვამია, რომ რუსული ენის სულ უფრო მზარდი მნიშვნელობა სრულიადაც არ აკნინებს სხვა ეროვნული ენების როლს, რომელთა ყოველნაირი განვითარება საბჭოთა ინტერნაციონალიზმის, ერთიანი საბჭოთა კულტურის ინტერნაციონალიზმის ერთ-ერთი მთავარი თავისებურებაა. ამ პრინციპიდან უმცირეს გადახვევასაც კი სერიოზული შედეგები შეიძლება მოჰყვეს.

ერთაშორისი ურთიერთობა ცოცხალ ორგანიზმს შეიძლება შევადაროთ. და ისევე როგორც ყოველ ცოცხალ ორგანიზმს, მასაც შეიძლება ჰქონდეს თავისი სიძნელენი, ზრდისა და განვითარების სიძნელენი, შეიძლება ჰქონდეს პრობლემები. შეიძლება იყოს შეცდომებიც. უფლება არა გვაქვს არ შევამჩნიოთ ისინი, არ ვილაპარაკოთ მათზე პატიოსნად და გულახდილად, როგორც ამას დღეს მოითხოვს პარტია. სწორედ ეს არის ამ სასინჯი ქვა, რომლითაც მოწმდება თითოეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელის, იდეოლოგიური მუშაკის, მეცნიერის, კულტურის მოღვაწის, თითოეული კომუნისტის ინტერნაციონალისტური, მაშასადამე, იდეური მრწამსის სიღრმე და სიმტკიცე.

დღეს არ შეიძლება არ აღინიშნოს, თუ რა უნარიანად, საქმის ცოდნით უდგებიან თბილისის საქალაქო პარტიული ორგანიზაცია, აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტები ზოგიერთი რთული, იდეური პრობლემის გადაწყვეტას. სწორედ ასეთი მიდგომა, ასეთი საქმის ცოდნა ქმნის მოსახლეობის ყველა ეროვნული ჯგუფის გულწრფელობის, ნდობის ვითარებას, წარმოშობს ნამდვილად შემოქმედებითს ატმოსფეროს. ხალხს ასეთ ნდობას, ასეთ დამოკიდებულებას, ამხანაგებო, უნდა ვუფრთხილდებოდეთ, ვიცავდეთ თვალისჩინივით.

ახლა ყველანი ვდგავართ უდიდესი ისტორიული მოვლენის — გეოგრაფიკის ტრაქტატის 200 წლისთავის ზღურბლზე. ამ ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მთელი მოსამზადებელი პერიოდი უნდა გახდეს ახალი დიდმნიშვნელოვანი ეტაპი იდეოლოგიური მუშაობის, სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის შემდგომ ამაღლებაში. **თვით დღეხანწაფული და მისთვის მზადება უნდა იყოს ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვების, ერთა და ეროვნებათა აყვავებისა და დაახლოების, ყველა საბჭოთა ხალხის იდეურ, ინტერნაციონალურ შეკავშირებაში, ჩვენი საზოგადოების სოციალურ პროგრესში სახელოვანი რუსი ხალხის დიადი ისტორიული მისიის მკაფიო დემონსტრაციაა.**

ინტერნაციონალიზმის ძალა ის არის, რომ იგი თითქოს თავს უყრის ყოველივე საუკეთესოს, რაც კი რამ არის მომძე ხალხების იდეურ, ზნეობრივ, სულიერ იერსახეში, თავს უყრის მათს აღმშენებლობის ენერგიასა და შემოქმედებითს გენიას.

ამის დამაჯერებელი დადასტურებაა პოლიტიკური, შრომითი აღმავლობის ის ატმოსფერო, რომელიც დღეს რესპუბლიკაში სუფევს, ის განსაკუთრებული დაინტერესება, განსაკუთრებული უყურადღება საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრობლემებისადმი, რომელსაც საკავშირო სამინისტროები და უწყებები-იჩენენ, ის დახმარება, რომელსაც რესპუბლიკას უწევენ სტიქიით გამოწვეული ზარალის ლიკვიდაციაში, შემოქმედებითი ურთიერთდახმარების, ინამოაზრეობის, ურთიერთგაგების ის სულისკვეთება, რომელიც სუფევდა თბილისში გამართულ სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიების გაერთიანებულ საიუბილეო სესიაზე, და, ბოლოს, მხურვალე ტაში, გულითადობა, გულწრფელობა, მეგობრობისა და ნამდვილი ძმობის ამალელვებელი გრძნობა ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, ლენინის ქალაქში, სვერდლოვსკში, ვლადიმირში, სტავროპოლსა და სხვა ქალაქებში საქართველოს ლიტერატურისა და ხელოვნების დღეების მონაწილეთა ამასწინანდელი შეხვედრების დროს.

ყოველივე ეს, როგორც ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, არის „ხალხთა თანასწორობის, მეგობრობისა და ძმობის საუკეთესო ოცნების“ რეალური ზორცშესხმა.

ყველა ამ პრობლემას დღეს დაწვრილებით არ ვეხებით, რადგან საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვენი სამეცნიერო ცენტრების დახმარებით, ყველაზე ავტორიტეტიანი ამხანაგების აქტიური მონაწილეობით ამზადებს ფუნდამენტურ მოხსენება-გამოკვლევას დიდ რუს ხალხთან ჩვენი მეგობრობისა და ძმობის 200 წლის ისტორიის შესახებ, რომელიც საიუბილეო დღეებამდე გამოქვეყნდება.

მაგრამ არ შეიძლება არ ითქვას, რომ იუბილესათვის მზადების დღეებში არც მტერი თვლემს. რა არ გამოჩიჩქნეს ჩვენმა საზღვარგარეთელმა იდეოლოგიურმა მოწინააღმდეგეებმა დრო-ყამისაგან გაცრეცილი არქივებიდან! ეს არის ძველი, განუზორეცელებელი ტერიტორიული პრეტენზიებიც, ეს არის პანთურქიზმის რეაქციული იდეებიც. „ამერიკის ხმა“ და „თავისუფალი ევროპა“ უკვე მერამდენჯერ უკრავენ მეზშევიკთა გაცვეთილ ფირფიტებს. გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთვის დღესასწაულის წინ ბურჟუაზიული პროპაგანდა მიმართავს თავისი გაქანებითა და ინტენსიურობით უმაგალითო შეტევას ჩვენს წინააღმდეგ, თუ გნებავთ, თავისებურ საინფორმაციო-პროპაგანდისტულ ინტერვენციას. იყენებენ ყველაფერს, ოღონდ გააღვივონ ნაციონალისტური და რელიგიური გრძნობები, ერთმანეთს დაუპირპირონ საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ხალხი და ადამიანთა თაობები, დაამახინჯონ ჩვენი ისტორიული წარსული და აწმყო, გააყალბონ რუსეთ-საქართველოს ნამდვილად ძმური ურთიერთობა, საბჭოთა ადამიანებს ჩაუნერგონ მოჩმახული თეზისი ეგრეთ წოდებული „რუსოფიკაციის“ შესახებ.

რა ამაზრზენად გამოიყურება ყოველივე ეს იუბილესათვის იმ მზადების ფონზე, რომელიც რუსეთში, საქართველოსა და სხვა რესპუბლიკებში მიმდინარეობს!

ასეთ ვითარებაში საჭიროა საბრძოლო, შეტევითი, ზუსტად მოგვარებული კონტრპროპაგანდა.

როცა კონტრპროპაგანდაზე ვლაპარაკობთ, მუდამ უნდა გვქონდეს მხედველობაში, რომ რეიგანმა კონფლინქტის წინააღმდეგ „ჯვაროსნული ლაშქრობა“ ვამოაცხადა და ეს ვამბანგტონის ოფიციალური პოლიტიკა გახდა, რომ თეთრ სახლში დასაშვებად მიიჩნიეთ ეგრეთ წოდებული შეზღუდული ბირთვული ომის შესაძლებლობა, საქმე იქითკენ მიჰყავთ, რომ მითითვისონ უფლება, პირველი ბირთვული დარტყმა მიაყენონ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამგვარი განცხადებანი ფუჭი ლოზუნგები როდია. მათ მიღმა დგას კოლოსალური პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც, ერთი მხრივ, ზრდის ამერიკის შეერთებული შტატების— და არა მარტო ამ ქვეყნის — მთელ მოსახლეობის საბჭოთა ადამიანებისადმი, სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ხალხისადმი ღრმა სიძულვილის სულისკვეთებით და, მეორე მხრივ, აწყობს მუდმივ იდეოლოგიურ დივერსიებს, ცდილობს გაგლენა მოახდინოს ჩვენი ადამიანების გონებასა და გულზე. ამისთან ამერიკის იმპერიალიზმი ცვლის თავის ტაქტიკურ ამოცანებს და ყოველთვის ისაზავს ერთსა და იმავე სტრატეგიულ მიზნს — საფუძველი შეურყიოს კომუნიზმს.

მაგრამ ამერიკის ადმინისტრაციის გეგმებმა, რომ წაეკიდებინა ერთმანეთისათვის ხალხები, დაეთესა ეროვნული შუღლი, ხელი შეეწყო შოვინიზმისა და ნაციონალიზმის გამოღვიძებისათვის, სრული კრახი განიცადა. ასევე სამარცხვინოდ ჩაშლება სოციალიზმის წინააღმდეგ ამერიკის პრეზიდენტის მიერ წამოწყებული „ჯვაროსნული ლაშქრობა“. ღრმად ეართ დარწმუნებული ამაში. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს! ასეთია ისტორიის რკინისებური ლოგიკა: ჩვენი საქმე სამართლიანია, და მომავალი სოციალიზმს ეკუთვნის! ბრძოლის შედეგი ცნობილია.

მაგრამ იქ, სადაც ვურიგდებით ჩვენი იდეოლოგიური ზემოქმედების ოდნავ შესუსტებასაც კი, ჩნდებიან ცალკეული მერყეები, დაბნეული ადამიანები, მოიფლმხედველობითი მაჯიერებით შეპყრობილი ადამიანები. ისინი ერთეულები არიან. მაგრამ უფლება არა გვაქვს გვერდი ავუაროთ თუნდაც ერთეულებს, არ შეიძლება ეიყოთ გულგრილნი თუნდაც ერთეულების მიმართ, რადგან ესენი არიან ჩვენი, საბჭოთა ადამიანები.

აქ მთელი სიმწვავით, მთელი პრინციპულობით დგება საკითხი თავიანთი მუშაობის საბოლოო შედეგებისათვის, ახალგაზრდა თაობის იდეოლოგიური საფუძვლების ჩამოყალიბებისათვის ჩვენი უმაღლესი სასწავლებლის, ჩვენი სკოლების ყველა იდეოლოგიური ინსტიტუტის პასუხისმგებლობის შესახებ. და თითოეული ხარვეზისათვის, თითოეული შეცდომისათვის, უპასუხისმგებლობის უმცირესი გამოვლინებისათვის ამხანაგებს მთელი სიმკაცრით უნდა მოვკითხოთ.

სწორედ ასეთ ფონზე, ასეთი თვალსაზრისით უნდა გავწიოთ ჩვენი კონტრპროპაგანდა, დაუნდობლად, შეურიგებლად ვებრძოლოთ იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს.

მახსენდება, თუ რა განაცხადა, პორტუგალიაში ჩვენი ამასწინანდელი მოგზაურობის დროს, პორტუგალიის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეგობრობის მიტინგზე ბარეირაში — სახელოვანი და გმირული კომუნისტური ტრადიციების მქონე მუშათა რაიონში — პორტუგალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ალვარო კუნიალმა: „ყველა ჩვენგანი ყოველდღე ვართ იმის მოწმე, თუ როგორ მოაქვთ ჩვენამდე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს საზარელი სიცრუე, ცილისწამება, სინამდვილის დამახინჯებანი სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ“.

შემდეგ ამხანაგმა ალვარო კუნიალმა თქვა, რომ კაპიტალისტებს, რეაქციონერებს, იმათ, ვინც პორტუგალიაში დასავლეთის საზოგადოების ეგრეთ წოდებულ მოდელს ქადაგებს, ვერ უპატიებიათ საბჭოთა კავშირისათვის, რომ იქ არ არის უმუშევრობა, პირიქით, აკლიათ მუშახელი, რომ ახალგაზრდობას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეუძლია ისწავლოს უნივერსიტეტებში, შეიძინოს პროფესია, ეზიაროს კულტურას, ხელი მოჰკიდოს სპორტს, აქვს გარანტირებული სამუშაო, რაც აშკარად კონტრასტულია პორტუგალიის ახალგაზრდობის, ასიათასობით უმუშევარი ახალგაზრდის ტრაგიკულ მდგომარეობასთან შედარებით, როცა ათასობით ახალგაზრდა დაეშვა ნარკომანიის, დამნაშავეობისა და პროსტიტუციის უფსკრულში და ა. შ.

ამგვარი არგუმენტებით, ამხანაგებო, უნდა შეეიარაღდეთ, უნდა ვისწავლოთ არგუმენტირებული ბრძოლა ჩვენი იდეური მტრების წინააღმდეგ, გავაჩაღოთ ფართო არგუმენტირებული, კონკრეტული კონტრპროპაგანდა.

როგორც ამხანაგმა ი. ვ. ანდროპოვმა თქვა, ახლა „მიმდინარეობს ბრძოლა პლანეტაზე მილიარდობით ადამიანის გონებისა და გულის მოსაგებად და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე. აქედან ნათელია, რაოდენ მნიშვნელოვანია შეგვძლოს გასაგები და დამაჯერებელი ფორმით აუწყო მთელი მსოფლიოს უფართოეს ხალხთა მასებს სიმართლე სოციალისტური საზოგადოების, მისი უპირატესობების, მისი სამშვიდობო პოლიტიკის შესახებ“.

IX.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო რეზერვების გამოყენების საკითხებს. დღეს მინდა საგანგებოდ აღვნიშნო, რომ **ჩვენი მთავარი რეზერვი იყო და არის მუშაობის სტილის სრულყოფა, ინიციატივის, ნოვატორობისა და შემოქმედებითი ატმოსფეროს დანერგვა, ატმოსფეროსი, რომელსაც შეუძლია ყველა სარქველი გაუხსნას საზოგადოებრივ და ინდივიდუალურ ენერგიას მაქსიმალური გამოვლენისათვის.**

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე ჩვენ ვთქვით და დღესაც გვსურს გავიმეოროთ, რომ ახლა მთელი სიმწვავით დგება პიროვნებასთან პარტიული კომიტეტის დიალოგის პრობლემა. ჩვენს თანამედროვეს თავი უჭირავს უფრო დამოუკიდებლად, კარგად არის დაუფლებული ანალიზისა და კრიტიკული აზროვნების მეთოდს. მარქსს მიხედვით, პიროვნების არსი არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა. ხოლო საზოგადოებრივ ურთიერთობათა თანამედროვე დონემ დღის წესრიგში დააყენა პარტიული კომიტეტის მუშობის ახალი სტილის ჩამოყალიბების ამოცანა. და იძებნება შესაბამისი სრულიად რეალური გზები.

ახალმა სამეურნეო ორგანოებმა აგროსამრეწველო კომპლექსში, ახალ ურთიერთობებთან ერთად, ახალი შესაძლებლობანიც წარმოშვა. იქმნება სიტუაცია, როცა სოფელსა და ქალაქში ეკონომიკას მართავენ პროფესიონალი ორგანიზატორები, ხოლო პარტიული კომიტეტები მაოზე დაყრდნობით სათავეში უდგანან სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლას. ამას ვაღწევთ სოციალისტური და შინაპარტიული დემოკრატიის ყოველნაირი განვითარების საფუძველზე, ამასთან ეს დემოკრატია მეფიდრად, ორგანულად უნდა იყოს შეხამებული უმკაცრესი დისციპლინის დამკვიდრებასთან, პასუხისმგებლობის ამაღლებასთან, კადრებისადმი, უწინარეს ყოვლისა, ხელმძღვანელი კადრებისადმი მომთხოვნელობის ამაღლებასთან.

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს პარტიულ ცხოვრებაში ახლა მტკიცედ დამკვიდრდა ფართო პარტიული კონსულტაციების, ცალკეულ აქტუალურ პრობლემებზე საზოგადოებრიობისადმი სისტემატური მმართვის, კომუნისტთა, მშრომელთა აზრის, წინადადებების შეკრებისა და ანალიზის პრაქტიკა. ამაზე უკვე ვილაპარაკეთ. ბევრი რამ კეთდება პარტიული და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის შესახებ მათი ინფორმირების გაუმჯობესებისათვისაც. **ყოველივე ამას ახლა უნდა მიენიჭოს უფრო ზუსტი, სისტემური ხასიათი, მოგვარდეს პარტიული და სახელმწიფო ორგანოების რეგულაორული ანგარიშვალდება უშუალოდ შრომითს კოლექტივებში, ფართო აუდიტორიის, მოსახლეობის წინაშე.** სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების საკითხებზე ყველა უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება წინასწარ იქნეს განხილული შრომითს კოლექტივებში. მაგრამ დემოკრატიული ნორმები და დებულებანი საქმით უნდა მტკიცდებოდეს. ამასთან დაკავშირებით არსებითად უნდა ვამაღლებდეთ პარტიული კრებების მნიშვნელობას, პრინციპულობას პროფკავშირული ორგანოზაციების მიერ მშრომელთა ინტერესების დაცვაში, ინიციატივასა და შემოქმედებითს მიდგომას კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობაში, სამტკიცეს სახალხო კონტროლიორების მიერ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში.

შრომითი კოლექტივებისათვის მინიჭებული ფართო უფლებებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ რეალიზაციაში მნიშვნელოვანი როლი განეკუთვნებათ პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს. თბილისში გამართულმა საკავშირო სამეცნიერო-პრაქტიკულმა კონფერენციამ, რომელსაც ფართო რეზონანსი მოჰყვა, გვიჩვენა, რაოდენ ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ კიდევ ძირეული პარტიული რგოლების მებრძოლურობის ასამაღლებლად. კონფერენციის მასალები განიხილა ყველა პირველადმა პარტორგანიზაციამ, და ამას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიის წინ. შესაძლოა, პირველადი პარტორგანიზაციების მდივნების მეორე რესპუბლიკური კრება, რომლის გამართვასაც ვაპირებთ ანგარიშგება-არჩევნების შემდეგ, მიზანშეწონილი იყოს მივუძღვნათ ძირეული პარტიული რგოლის ლიდერის როლის ამაღლების, ადამიანებთან პარტიული კომიტეტის დიალოგის პრობლემებს.

მთავარია საქმით უზრუნველვყოთ პარტიისა და სახელმწიფო ფუნქციების სწორი განაწილება, არ დავუშვათ, რომ პარტიული ორგანოები ეწეოდნენ სახელმწიფო ორგანოების დუბლირებას, — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის ამ მითითებებს უნდა შეესაბამებოდეს პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოების მეცადინეობის კონცენტრაციის პრაქტიკა, პარტიულ კომიტეტებთან სამუშაო ჯგუფების, კომისიების, საბჭოების ფუნქციონირება. ამ ფორმებმა საესებით გაამართლა დანიშნულება როგორც ძირეული ამოცანების გადასაწყვეტად, მუშაობაში პარალელიზმისა და დუბლირების გამოსარიცხავად ყველა ორგანოს მუშაობის კოორდინაციის ეფექტიანმა მეთოდმა.

ძალების კონცენტრაციის პრინციპი, სამუშაო ჯგუფების და კომისიების შექმნა პირველად პარტორგანიზაციებში, ტერიტორიული ჯგუფების ჩამოყალიბება ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილებასთან, ორგანიზატორული, იდეურ-აღმზრდელობითი და სამეურნეო მუშაობის ერთიანობის უზრუნველსაყოფად პარტიული კომიტეტების საქმიანობის სისტემური ანალიზების შედგენა —ყოველივე ეს უნდა ექვემდებარებოდეს იმ მთავარი, ძირითადი ამოცანების გადაწყვეტას, რომლებსაც პარტია გვისახავს კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპზე. ორგანიზაციული მუშაობის ეს ფორმები იმისათვის გვჭირდება, რომ შევნიშნოთ ყოველივე კარგი, საგულისხმო, დადებითი, რაც პარტიული მუშაობის პრაქტიკაში იშვება, დავინახოთ ნაკლოვანებებიც, განვაზოგადოთ საქმის ვითარების გაუმჯობესების კონკრეტული ღონისძიებანი.

არ არსებობს საერთოდ იდეოლოგიური ან ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობა. ამ მუშაობის მიღმა დგას კონკრეტული პიროვნება, კონკრეტული ადამიანი, და ჩვენ გვჭირდება კონკრეტული მიდგომა, მოლიანად უნდა გადავიდეთ კონკრეტულობის რელიეფზე, დავასამაროთ სტილი, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ მუშაობა „საერთოდ და მთლიანად“.

ასეთი კონკრეტული მიდგომა გვჭირდება, უწინარეს ყოვლისა, თვით კომუნისტების აღზრდისათვის, რადგან აღმზრდელობითი მუშაობის გარდაქმნა უნდა დავიწყოთ თვით პარტიაში. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, პარტიული ორგანიზაციების თვისებრივი შემადგენლობის გაუმჯობესება. ამ საქმეში ყველაფერი რიგზე, ყველაფერი წესრიგში როდი გვაქვს. შეუფოთებას იწვევს, რომ უკანასკნელი ორი წლის მანძილზე პარტიაში არ მიიღეს, გარიცხეს ან მის რიგებს გამოაკლდა სამასამდე სკკპ წევრობის კანდიდატი.

გარიცხულთა შორის ისეთებიც არიან, ვინც ბოროტად იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას.

დარღვევები არის პარტიაში მიღების დროსაც. ცნობილია ფაქტები, როცა სკკპ რიგებში იღებენ ახლახან საშუალო სკოლადამთავრებულ ახალგაზრდებს, რომლებსაც არა აქვთ მუშაობის საჭირო სტაჟი. სამწუხაროდ, ეს ყოველთვის როდია ნაკარნახევი საქმიანი მოსაზრებებით, რაც სრულიად შეუწყნარებელია. ამგვარ შემთხვევებს წავაწყდით ახალციხის, ზნაურის და ზოგიერთ სხვა რაიონში.

პარტიულმა კომიტეტებმა უნდა გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა ახალგაზრდა კომუნისტებთან, აამაღლონ მათი იდეური წრთობა, უფრო აქტიურად ჩაებან ისინი პარტიის საქალაქო და რაიონულ კომიტეტებთან მათთვის შექმნილ სკოლებში.

დრო გვიკარნახებს, რომ უფრო ფართოდ დავნერგოთ პარტიული მუშაობის პრაქტიკაში საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიღწევები. მეცნიერებისაგან მოვიღოთ კონკრეტულ რეკომენდაციებს იმის თაობაზე, თუ როგორ წარვმართოთ უკეთ პარტიული აპარატის მუშაობა, როგორ სრულვყოთ სოციალურ-ეკონომიკური პროცესების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ხელმძღვანელობა. ესეც ჩვენი პარტიის დემოკრატიზაციის, მისი დემოკრატიული საწყისების განვითარების გამოხატულებაა, როცა მეცნიერები — კომუნისტები და უპარტიოები — უაღრესად აქტიურად მონაწილეობენ პარტიული მუშაობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფაში. **ყოველივე ეს დაგვეხმარება, რომ პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა დავაყენოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის მოთხოვნათა დონეზე.**

დასასრულ მინდა გითხრათ, თუ **როგორი უნდა იყოს თანამედროვე პირობებში პარტიული, იდეოლოგიური მუშაკი,** რომელიც პროფესიულად აწყობს და წარმართავს **ადამიანის** აღზრდის ურთულეს, უფაქიზეს პროცესს, ადამიანისა, რომლის შესახებაც სიტყვა ეთქოდენ დიდი ძალით გაისმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის ტრიბუნიდან და მის გადაწყვეტილებებში.

პლენუმმა მთელი სიმწვავით დააყენა პროპაგანდისტის, აგიტატორის, ლექტორის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მუშაკის პიროვნებისადმი წაყენებული მოთხოვნების განახლების საკითხი.

აქ ბევრი რამ განიხილა პლენუმმა კრიტიკული თვალსაზრისით. ცხოვრების მწვავე პრობლემებისათვის თავის არიდება, ფორმალიზმი, პარადულობა, იდეოლოგიური ლაქლაქი, მაშინ, როცა ერთობ მცირეა ეკონომიკური მაჩვენებლები — აი ზოგიერთი თვისება, რომელიც ქმნის ზოგიერთი იდეოლოგიური მუშაკის სახეს.

რეალიზმი, ალალმართლობა, გერგილიანობა, ჩვენი მიღწევების უნარიანი ჩვენება, ადამიანებისათვის სანტერესო საკითხების გონივრული ანალიზი, ცინცხალი აზრი, გადმცემის სიცხადე — ასეთია დღევანდელი და ხვალინდელი დღის იდეოლოგიური მუშაკის ზოგიერთი ზოგადად ჩამოყალიბებული ღირსება.

ამასთან მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი პრინციპული მოსაზრება. ჩვენთვის, კომუნისტებისათვის, უსაზღვროდ ძვირფასია რევოლუციური ხანისა და პირველი ხუთწლედების ეპოქის პარტიული პროპაგანდისტისა და აგიტატორის ხსოვნა. სწორედ მათი მეოხებით არის, რომ კომუნიზმის იდეა, ეუფლებოდა რა მასებს, ხდებოდა მძლავრი, ყოვლისმძლე და აღმშენებელი ძალა. ქედს ვიხრით თქვენს წინაშე, ჩვენს მამათა სულიერო დამრიგებლებო! თქვენი მაგალითი დღესაც გვინათებს გზას.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, ამხანაგებო: სხვა დრო, სხვა ამოცანები, სხვა საშუალებანია. გვახსოვდეს ის, რომ წარსული დროის იდეოლოგიური ბრძოლები და შეტაკებები აშკარად ხდებოდა უამრავი ხალხის თანდასწრებით, როცა გამარჯვებას უზრუნველყოფდა ჭკვიანური ზემოქმედება კოლექტივისტურ, მასობრივ შეგნებაზე. პროპაგანდისტებს სხვა სიდიდეებთან ჰქონდათ საქმე, მასების, კლასების კატეგორიებით ოპერირებდნენ.

„და მომღერლის სიმღერა რაზმავს კლასს!“, — წერდა რევოლუციის პოეტი ვ. მაიაკოვსკი, რომლისთვისაც დიდი ქალაქების ქუჩები და მოედნები პოეტური მეტაფორები კი არა, ჩვეულებრივი სამუშაო ადგილი იყო. ეს იყო ეპოქა, როცა ყველაზე უფრო ქმედითი ძალა ჰქონდა ბრძანებას, მოწოდებას, ლოზუნგს, როცა ამგვარი ფორმებით ... ეფექტურობა ... ეფექტურობა ... ეფექტურობა